# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 ნოემბერი, 2013 წელი.

№223 (7351)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## ვაითუ ამ კონტექსტიდან ამოვარდნილმა ამოგვაგდოს! ③



## „ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის, ბედკრულნი კი მას სიხარულით ეგებებიან“ ⑥

## „გვარამია ინტელექტუალია, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის არამზადა იყო!“ ④

## საქართველოს ექსპრეზიდენტი სააკაშვილი სექს-სკანდალების ქრონიკაში მოხვდა ⑧

## ნაციონალმა საკრებულოს თავმჯდომარემ შვილს სოფლის მიწა აჩუქა, მან კი ეგვიპტელზე გაყიდა ⑦

## დაქვითულ „საშემოსავლოს“ დაგვიბრუნებენ, ოღონდ ნაწილობრივ

## ბრიუსელის პოლიტიკური ჭადრაკი გრძელ-დება ⑤




## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ქართული დელეგაცია

# ვინ გაემგზავრება ვილნიუსის სამიტზე?

**ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა ალექსი პეტრიაშვილმა ვილნიუსის სამიტზე გასამგზავრებელი დელეგაციის შემადგენლობა დაასახელა.**

ვილნიუსის სამიტზე საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი იქნება.

დელეგაციაში იქნებიან ასევე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მიხეილ ჯანელიძე.

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, დელეგაციაში ასევე იქნებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შესაბამისი წარმომადგენლები.

საქართველოს დელეგაცია ვილნიუსის სამიტზე ერთი პლუს ორი, პლუს ხუთი ფორმატით წარსდგება.

ვილნიუსის სამიტი 28-29 ნოემბერს გაიმართება.

მართლმსაჯულება

# წინა ხელისუფლებასთან შედარებით მართლაც პროგრესია



**— სასამართლოზე ორი ზეწოლის შემთხვევა გაიხსენეთ, თუ ეს ორი შემთხვევა დადასტურდა, რა თქმა უნდა, სავალალოა, მაგრამ ალბათ ეს პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ რეფორმა არის წარმატებული. წინა ხელისუფლების პირობებში დღეში ათეულობით ზეწოლა და შეტევა ხდებოდა სასამართლოზე და ცხრა წლის მანძილზე ძალიან ნეგატიური რეკორდი დააგროვეთ. თქვენ გახსოვთ ალბათ. თუ არ გახსოვთ, ეს რეალობაა, —** მიმართა ოპოზიციას წულუკიანმა.

პარლამენტში მინისტრობის რამდენიმე კანდიდატს იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ასევე საპროცედურო საკითხთა და წესებისა და თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე უსმენენ. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრობის კანდიდატმა თეა წულუკიანმა პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე ოპოზიციის კითხვების საპასუხოდ განაცხადა.

## აირჩიეს 12 ახალი მოსამართლე

**იუსტიციის** უმაღლესი საბჭოს სხდომაზე მოსამართლეობის 59 კანდიდატიდან არჩეულია მხოლოდ 12 კანდიდატი. ხმის მიცემის შედეგები სხდომის წევრებს თავად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილმა გააცნო.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომა გუშინ 12:00 საათზე დაიწყო. საბჭოს წევრებმა მოსამართლეობის 59 კანდიდატს ფარული მეთოდით უყარეს კენჭი. იმისთვის, რომ კანდიდატი მოსამართლედ არჩეულიყო თითოეულ მათგანს საბჭოს 13 წევრიდან მინიმუმ 10 წევრის მხარდაჭერა უნდა მიეღო.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო მოსამართლეთა პირველი არჩევნები კონსტიტუციის ახალი რედაქციის ამოქმედების შემდეგ. ამავე რედაქციის მიხედვით, მოსამართლეები უკვე სამწლიანი გამოსაცდელი ვადით ინიშნებიან.

მინისტრობის კანდიდატი

# ფინანსურ-საგადასახადო ამნისტიაზე მუშაობა არ მიმდინარეობს



**მთავრობა ეკონომიკურ დანაშაულთა გარკვეული ნაწილის დეკრიმინალიზებას გეგმავს. ფინანსურ-საგადასახადო ამნისტიის გამოცხადება კი დღის წესრიგში არ დგას. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრობის კანდიდატმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომელსაც გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მოუსმინეს. დეპუტატებმა მინისტრის პოსტზე ხადურის კანდიდატურას მხარი დაუჭირეს.**

— ეკონომიკურ დანაშაულთან მიმართებაში არის ძალიან ბევრი თემა, რომელიც წინასწარი პატიმრობის გამოყენებას არ საჭიროებს. ბევრი საკითხი სისხლის სამართლის კოდექსიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში გადავა. იქნება ბევრი საკითხი, რომელზეც წინასწარი პატიმრობის გამოყენება აუცილებელი არ იქნება. ამაზე მუშაობა სპეციალისტებთან ერთად მიმდინარეობს, — განაცხადა ნოდარ ხადურმა.

რაც შეეხება ფინანსურ-საგადასახდო ამნისტიას, ხადურის თქმით, ამაზე მუშაობა არ მიმდინარეობს და არ შეიძლება ამ მხრივ ერთნაირი მიდგომის არსებობა.

ნოდარ ხადურის განცხადებით, აიკრძალება ბიზნესის წინასწარი დალუქვა, მიმდინარე საქმიანობის შეჩერება და დაყადაღება.

მისივე თქმით, ასევე მოწესრიგდება ბაზრობებზე მოვაჭრეთა დაბეგვრის მარეგულირებელი ნორმები.

ხადური ასევე გადასახადის ადმინისტრირების გამარტივების პირობას იძლევა და აცხადებს, რომ საგადასახადო სანქციების ოპტიმიზაცია განხორციელდება.

ფინანსთა მინისტრობის კანდიდატის თქმით, მოხდება ცალკეული კატეგორიის ეკონომიკური დანაშაულისათვის სისხლის სამართლებრივი დევნის შეზღუდვა და მისი დეკრიმინალიზაცია. ყველაფერი ეს ასახულია სამთავრობო პროგრამაში, რომელიც ნდობის მისაღებად პარლამენტს უკვე წარედგინა.

პროგნოზი და პერსპექტივები

# ზაქარია ქუცნაშვილი პოლიტიკურ ამბიციას შეეწირა?..

**ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ არსებულ დაპირისპირებას ზაქარია ქუცნაშვილის თანამდებობა შეეწირა. საპარლამენტო უმრავლესობის 16 ნოემბრის დახურულ სხდომაზე, თანაგუნდელებმა ფრაქციის თავმჯდომარის პოსტიდან ზაქარია ქუცნაშვილი გადააყენეს, რისი მიზეზიც თავად ქუცნაშვილის პოლიტიკური ამბიცია გახდა.**

როგორც for.ge-ს უმრავლესობაში განუცხადეს, დახურულ შეხვედრაზე ზაქარია ქუცნაშვილს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი შესთავაზეს, რაზეც მან უარი განაცხადა. მათი ცნობით, ქუცნაშვილმა ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობის შენარჩუნება ისურვა და შეთავაზებული პოსტი დაიწუნა.

„რადგანაც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ირინე იმერლიშვილი უშიშროების საბჭოს მდივანი ხდება, ეს პოსტი ზაქარია ქუცნაშვილს შევთავაზეთ, მაგრამ მან ეს თანამდებობა იუკადრისა, რის გამოც, დღის წესრიგში მისი პოსტიდან გადაყენება დადგა“, — განუცხადა for.ge-ს მმართველი გუნდის ერთ-ერთმა ლიდერმა.

თავის მხრივ, ზაქარია ქუცნაშვილის პასუხი მიუღებელი აღმოჩნდა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისთვის, რის გამო, მათ ერთმანეთში ცხარე კამათი მოუვიდათ.

„ქუცნაშვილის პოლიტიკური ამბიციის გამო, პრემიერი ძალიან განაწყენდა და ბატონი ბიძინა სხდომაზევე ინიციატივით გამოვიდა, რომ ამ საკითხისთვის კენჭი გვეყარა. ფრაქციის წევრებმა ქუცნაშვილი სხდომაზევე გადააყენეს. ივანიშვილმა კი ზაქარიას უთხრა, დროებით დაისვენეო“, — აცხადებს კულუარულ საუბარში უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი.

აღსანიშნავია, რომ ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე ქუცნაშვილის შემცვლელად გია ვოლსკის კანდიდატურა ბიძინა ივანიშვილმა თავად წარადგინა, რომელსაც ნდობა თანაგუნდელებმაც გამოუცხადეს.

ახალ თანანმდებობაზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენას გია



ვოლსკი მის დიპლომატიურ გამოცდილებას უკავშირებს და პროგნოზირებს, რომ უახლოეს მომავალში, მისი ფრაქცია საერთაშორისო ასპარეზზე დამკვიდრებისთვის სერიოზულ ნაბიჯებს გადადგამს.

— ჩვენთან არ არის ისე, რომ ვინმეს თავისი პოზიციის გამოხატვა შეზღუდული ჰქონდეს. მოხარული ვარ, რომ როგორც ზაქრომ, ასევე ყველამ მხარი დაუჭირა ჩემს კანდიდატურას, — აცხადებს ვოლსკი, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის ხელმძღვანელის პოსტზე პაატა ბარათაშვილი ჩაანაცვლებს, რომელიც პროფესიით მსახიობია.

რაც შეეხება საპროცედურო საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელის ვინაობას, ამ თანანმდებობაზე გიორგი კახიანის კანდიდატურა განიხილება, რომელიც ამ მოწვევის პარლამენტში, საგაზაფხულო სესიაზე, შუალედურ არჩევნებში სამტრედიის ოლქში გამარჯვების შედეგად მოხვდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი კახიანი, რომელიც ამ დროისთვის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრია, საკუთარი საქმიანობით მმართველ გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული კანონმდებელია.

კახიანი საკუთარ წინამორბედს, რომელსაც პარლამენტი უფლებამოსილებას უახლოეს მომავალში შეუწყვეტს, გუნდის ერთ-ერთ ღირსეულ წარმომადგენლად მიიჩნევს და ამბობს, რომ იმერლიშვილის დაწყებულ საქმეს ღირსეულად გააგრძელებს.

მომავალში, ზაქარია ქუცნაშვილის ბედს, თუ რომელი დეპუტატი გაიზიარებს, ამის პროგნოზი ძნელია, მაგრამ ფრაქცია „ქართულ ოცნებაში“ პოლიტიკურ „გარჩევებს“ ადგილი ხშირად აქვს. ერთი წლის განმავლობაში, თანაფრაქციელები ერთმანეთს უკვე რამდენჯერმე დაუპირისპირდნენ, რისი ერთ-ერთი მიზეზიც საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის პოსტები გახდა. დეპუტატები — სოსო ჯაჭვლიანი, ომარ ნიშნიანიძე, გოგი ქავთარაძე და დავით ლორთქიფანიძე უმრავლესობის ლიდერ დავით საგანელიძეს გიორგი მარგველაშვილის რაიონული შტაბების ხელმძღვანელობას სთხოვდნენ. მოგვიანებით კი, for.ge-სთან საუბარში ომარ ნიშნიანიძემ დავით საგანელიძე პრემიერ-მინისტრთან „ამბების მიტანაში“ დაადანაშაულა.

**თეონა მანაგაძე**

ინფორმაცია

# ბარნოვმა სააკაშვილის მიერ მოქალაქეობამიღებულები წულუკიანს გადაუმისამართა

**პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი ანდრო ბარნოვი საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველთათვის განმარტებას აკეთებს.**

**— იმ მოქალაქეებმა, რომლებმაც საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს საქართველოს მოქალაქეობის მოთხოვნით მიმართეს, იმისათვის, რომ მიიღონ ინფორმაცია, მიენიჭათ თუ არა მათ მოქალაქეობა, უნდა მიმართონ იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.**

**იუსტიციის სახლს იმ განმცხადებლებმა უნდა მიმართონ, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტმა მოქალაქეობა მიანიჭა; ხოლო მათი განაცხადები, ვისი მოთხოვნაც მოქალაქეობის მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, გადაგზავნილია იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში.**

**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, მოქალაქეებს ასევე შეუძლიათ დარეკონ პრეზიდენტის ადმინისტრაციის ცხელ ხაზზე, მობრძანდნენ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ან მიაკითხონ იუსტიციის სამინისტროს.**

## დადიანო, დადიანო, მამულები ჩამოგართვეს...

**ზუგდიდში დადიანების სასახლის ეზო გაიყიდა. როგორც ლილი ბერაიამ განაცხადა, ეს დასტურდება ეკონომიკის სამინისტროსა და საჯარო რეესტრის ოფიციალურად დამოწმებული საბუთებით.**

**ლილი ბერაიას განცხადებით, მიწების გაყიდვა მასთან არ იყო შეთანხმებული და მან ამ ფაქტის შესახებ შემთხვევით შეიტყო.**

**დადიანების ისტორიული მუზეუმის დირექტორის განცხადებით, ის მასალებს სასამართლოში წარსადგენად მოამზადებს.**

**ბერაია აცხადებს, რომ ეს მიწები ნაწილ-ნაწილ არის გასხვისებული, რაც კანონდარღვევაა და იმედოვნებს, რომ სასამართლოს გზით დაკარგული მიწების დაბრუნებას შეძლებს.**

**დოკუმენტების თანახმად, კულტურულ მემკვიდრეობად შერაცხილი სასახლის ეზო, სადაც კულტურის სამინისტროს ნებართვის გარეშე ტოტიც ვერ უნდა მოტეხონ, აღარც სასახლეს ეკუთვნის და აღარც — სამინისტროს.**

**ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ კულტურის სამინისტროს გვერდის ავლით, 2012 წლის პირველ ნახევარში მიწის უზარმაზარი ფართობი რეგიონულ სახელმწიფო სტრუქტურას — სამეგრელო-გურია-ზემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამსახურს — წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე დაუკანონა. ეს ორგანოც ნელ-ნელა შეუდგა მიწის დაქუცმაცება-გაყიდვას. ამჯერად მუზეუმის ხელმძღვანელობისთვის ცნობილია მხოლოდ ერთ-ერთი მყიდველის — ზუგდიდელი ვინმე ლევან ქარდავას ვინაობა. ის არის უკანონოდ გაყიდული მიწის ნაწილის — 995 კვ.მ.-ის მეპატრონე. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს ამ მიწას თვალი ბიზნესმენმა გოჩა ფიფიამ დაადგა, რასაც იმ დროს შევარდნაძის ოპოზიციაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ პროტესტი მოჰყვა.**

**ინტერპრესი**



# ვაითუ ამ კონტექსტიდან ამოვარდნილმა ამოგვაგდოს!

**გათენდა თბილისური გვიანი შემოდგომისთვის ჩვეული კიდევ ერთი „ბარხატნი“ დილა. გიორგობისთვის უკვე სუსტი, მაგრამ ჯერ კიდევ ალერსიანი მზის შემხედვარე ვფიქრობდი – ნუთუ მართლა დამთავრდა 17 ნოემბერს ის კოშმარი, რასაც სააკაშვილის 9-წლიანი ფაშისტური რეჟიმი ერქვა?**

**დაჯერება მიჭირდა, რადგან კარგად მახსოვს, სულ რაღაც 2 წლის წინათ როგორი ძალმოსილი და აქედან „მარადჟამს შეურყეველი“ ჩანდა საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი და ულმობელი შინაური დამქცევარის სადისტური რეჟიმი! შინიდან გარეთ გამოსული კი დავრწმუნდი, ცხადში ვიყავი: გილოცავთ, გილოცავთ მიშას წაშავებას, გადაბნელებას, წათრევას! – ისმოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ – ახალი წელივით ულოცავდნენ ერთმანეთს ნაცნობ-უცნობნი. ამ სურათის შემხედვარეს თვალები ამიწყლიანდა და ყელში ჯავრის გორგალი გამეჩხირა... – როგორ უნდა გაამწარო, გააუბედურო საკუთარი სამშობლო, ხალხი, რომ შენს გადაშენებას ასე ხარობდეს? 17 ნოემბერს ახალი პრეზიდენტის ინაუგურაცია კი არა, ძველი მიშა სააკაშვილის აყროლებული ლეშის დაკრძალვა იყო – რას გადავურჩით, რა ჭირი მოვიშორეთ ხალხო, წარმოგიდგენიათ?**

ამიტომ დიდი მადლობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს (ნუ ვიქნებით უმადურები!) და მაშინდელ წინააღმდეგობის მოძრაობას, რომელთა სინერგიამაც გახადა გუშინდელი ზეიმი შესაძლებელი; მადლობა იმ რიგით ქართველებსაც, ვინც წლების მანძილზე, როგორც შეეძლო, ისე ებრძოდა „ალიბაბა და 40 ყაჩაღის“ ტერორს და, უპირველესად, მადლი უფალს, რადგან – „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“! თუმცა, იქნება გაგიკვირდეთ, მაგრამ წინამდებარე წერილის მთავარი თემა სულ სხვა რამ იქნება...

### შენი ყველაყისამ, მისტერ ნორლანდ!

აი, ასე, ქიზიყურად და მარტივად „მიტისკავდნენ“ ამერიკის დესპანს საქართველოში, მას იგივე, რაც თბილისში თქვა სტუდენტებთან, სადმე, მადლიან ქიზიყში რომ წამოეყროყინებინა...

მისტერ ნორლანდმა მართლაც გაგვაკვირვა თავისი დაკვირვებით:

**„ქართველები აფხაზებს და ოსებს დაახლოებით ისე ეპყრობოდნენ, როგორც მანამდე რუსები – ქართველებს და ამისთვის ბოდიშის მოხდა მოუწევთ“!**

აი, რა „დაახეთქა“ ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციის კვირაძალს ქართველ სტუდენტებთან შეხვედრისას და რაოდენ სამწუხაროა, რომ სტუდენტთაგან არავინ აღმოჩნდა დიდი ვაჟასგან „იარნაკრავი“, რომ პირში მიეხალა თავხედი სტუმრისთვის – **„ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა“!..**

აბა იგივე გაებედა ვინმეს ჩემი თაობის, გასული საუკუნის 70-იანი წლების სტუდენტობისთვის, გონივრული ეჭვი მაქვს, დაუზიანებელი ვერ წაგვივიდოდა და ამიტომ, არც ქიზიყელთა დახმარება დაგვჭირდებოდა, მაგრამ სწორედ ამაშია საქმე – გამოცდილმა დიპლომატმა კარგად იცოდა, სად, ვისთან და რას ამბობდა – ალიბაბას 9-წლიანმა ნეოლიბერალურმა დიქტატურამ ბევრ სხვა „სიკეთესთან“ ერთად ისიც დაგვმართა, რომ სულ მცირე ერთი თაობა ჩვენი შვილებისა, აი ისინი, ვინც დღეს სტუდენტური ასაკისანი არიან, მათი აბსოლუტური უმრავლესობა პატრიოტთა ბანაკების ბუჩქებში გარყვნა და გაათახსირა. კახა ლომაიას „რეფორმით განათლებულები“ კი, მხოლოდ საკუთარი სიამოვნების (კაიფის) უფლებას აღიარებენ, იმას კი არად დაგიდევენ, რომ ცხოვრებით ტკბობის უფლების (რაზედაც არც ჩემი თაობა ამბობდა უარს, მაგრამ...) გარდა, ვალდებულებებიც არსებობს ქვეყნისა და ერის წინაშე!

და რუსოფობია, აღვირახსნილი რუსოფობია, რაც, უწინარესად, გაუნათლებლობის, უცოდინრობის ბრალია – მათ ხომ იმას ასწავლიდნენ, რომ საქართველოს ისტორია „დიადი“ ვარდების რევოლუციით იწყება, რომ ჩვენი ისტორიული მეგობარი თურქეთია, ამიტომ არაფერი იციან ამ „მეგობრის“ ქართველთა ტერიტორიებით და სისხლით გაუმაძღრობის შესახებ და „ყველაფერი იციან“ ჩვენი „ისტორიული მტრის“ რუსეთის შესახებ...

ჰოდა, სად თუ არა უხნავ ყამირში – ჩვენი გზააბნეული შვილების ტვინებში – უნდა ჩააგდო ბოროტების თესლი? და მისტერ ნორლანდმაც ჩააგდო – **პირველი, მყისიერ შედეგზე გათვლილი მიზანი ნორლანდის განცხადებისა** ის იყო, რომ ამ ბოლო დროს შედარებით მინავლებული ანტირუსული ისტერია ხალახალი ძალით გაჩაღდეს, რადგანაც მათი საყვარელი მიშასგან განსხვავებით, მეოცნებე ხელისუფლებამ აშკარად მოუკლო ანტირუსულ რიტორიკას და ნაცების დაქირავებული ახალგაზრდათა „ენჯეოები“ აშკარად ვერ ქაჩავენ რაოდენობრივხარისხობრივად და მით უმეტეს ველარ გაქაჩავენ მიშა სააკაშვილის ოფიციალურად გაფარჩაკების, 17 ნოემბრის შემდეგ!

**მეორე და მთავარი, შორსმიმავალი მიზანი ელჩის განცხადებისა,** სავარაუდოდ, ჩვენი რესპების სანუკვარი ოცნების ზონდირება

**სიმართლე უნდა ითქვას, რომ სამართლიანობის აღდგენის იმედს ახლა ირაკლი ღარიბაშვილს უკავშირებს ამ მხრივ გაწბილებული ქართველი საზოგადოება** – ვნახოთ...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია, მაგრამ ვარაუდები, მოვლენათა ანალიზის და, რაც ყველაზე მთავარია, სანდო წყაროების ინფორმაციაზე დაყრდნობის შედეგი!

იმავე წყაროს ინფორმაციით, „ქართულ ოცნებას“, პარლამენტში მხოლოდ 50, 52 სანდო დეპუტატი ჰყავს, რაც სულაც არ არის გარანტია მუდმივი მდგრადობისა, რადგან მოვლენათა გარკვეული სცენარით განვითარებისას, მაგალითად, თუ ღარიბაშვილის ახალმა პროკურორ-შსს მინისტრმა რეალურად დაიწყეს ბობოლა ნაცების პასუხისგებაში



ხომ არ არის? ანუ საქართველოს მიერვე ცნობა აფხაზეთ-ცხინვალის დამოუკიდებლობისა, რაც რეალური და უმოკლესი გზაა ნატოში ჩვენი გაწევრებისა...

ვნახოთ, რა იქნება. მანამდე კი ერთი რამ უეჭველია – 2007 წლიდან ვიდრე დღემდე, ნაცბანდის ელიტის ერთადერთი ხსნა მხოლოდ დასავლეთისკენ უპირობო ყურება და მაამებლური კუდის ქიცინი იყო. დღემდეც ასეა და უნდა ითქვას, რომ არცთუ უშედეგოდ – შარშანდლამდე ხომ შეინარჩუნეს ხელისუფლება და მას მერეც სრული განადგურებისგან ალიბაბა და 40 ყაჩაღი ამერიკამ იხსნა და აშშ მომავალშიც აპირებს საკუთარი პროექტის ლობირებას, რისი დასტურიც თუნდაც ბარაკ ობამას მილოცვაა მარგველაშვილისთვის, სადაც, ეს მერამდენედ და ქართველთა გულის გასახეთქად, საუბარი კვლავ მიშა სააკაშვილის ფასდაუდებელ ღვაწლზეა!

დღეს თითქმის იგივე მდგომარეობაში არიან რესპუბლიკელებიც – ისინი ნაცებზე დიდი ხნით ადრე, დასაბამიდან არიან ჭიპლარით მიბმულნი ამერიკაზე და რადგან ივანიშვილის წასვლის შემდეგ დიდი ალბათობით შეიძლება დღის წესრიგში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საკითხი დადგეს, რაც რესპების საბოლოოდ ამოძირკვას ნიშნავს ქართული პოლიტიკიდან, მათაც მხოლოდ ამერიკისკენ ცქერა დარჩენიათ საშველად და ისინი ამ ცქერაში ყველაფერზე წამსვლელნი არიან...

რეალურად უკვე დაწყებულია ფარული ბრძოლა კოალიციის შიგნით, თუ ვინ „წაიყვანს სტოსს“ ქართულ პოლიტიკაში, რესპუბლიკელების პარლამენტი თუ ირაკლი ღარიბაშვილის ახალი მთავრობა და ეს ბრძოლა ინაუგურაციის შემდეგ აშკარა გახდება.

ღარიბაშვილის გუნდი რომ პირველობისთვის იბრძოლებს, ამას ისიც მოწმობს რომ ახალი პრემიერი მალე პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეც გახდება. პარტიისა, რომელიც, შეიძლება ითქვას, დღემდე პრაქტიკულად არ არსებობდა!

მიცემა, რადგანაც ეს არ უნდა ამერიკას (მით უმეტეს სააკაშვილის დაპატიმრება), არ გამოირიცხება ვარიანტი, რომ რესპებ-ალასანიამ ახალი უმრავლესობა ნაცებთან ერთად შეკრან პარლამენტში!

მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების სასარგებლოდ პირდაპირ მეტყველებს თუნდაც ლევან ბერძენიშვილის ამასწინანდელი „აღიარება“ ქართული დემოკრატიის კლასიდან კლასში ხტუნვასთან მიმართებით, და ირიბად კიდევ ის, რომ ირაკლი ალასანია, როგორც მატროსოვი ამბრაზურას, ისე გადაეფარა მისტერ ნორლანდს – **ქართველებო, ღმერთი არ გაგიწყრეთ და არ დაიჯეროთ, ის განცხადება კონტექსტიდან ამოვარდნილი იყო, თორემ ამერიკა ჩვენი უერთგულესი მეგობარია და ასეთად დარჩება მარადჟამსაო!** – ნოდარ დუმბაძის ოლღა ბებია გამახსენა ბატონი ირაკლის „ადვოკატობამ“ – „მე რომ გწყევლი, ზურიკელა ბებია, ჩემი ძუძუები გლოცავსო“...

აჰა, წერილის ბოლოს, ნებსით თუ უნებლიეთ ისევ მივადექით ნორლანდის ნაბჟუტურევს და ახლა მისი განცხადების მორალურ მხარეს შევხედოთ, უფრო სწორედ, ამორალურს:

რუსების ქართველებთან მოპყრობის სისასტიკეზე რომ აკეთებს მინიშნებას, ეს იმ ქვეყნის მოქალაქე ხომ არ არის, სადაც პრაქტიკულად ნულამდე შეამცირეს აბორიგენი ინდიელების რაოდენობა და აფრიკიდან ამერიკელი პლანტატორების მიერ ჩაყვანილ მონებს, საუკუნეების განმავლობაში სულს ხდიდნენ და აგერ, სულ ახლახან, გასული საუკუნის 60-იან წლებამდე, შავკანიანებს ცოცხლად ატყავებდნენ კუკლუსკლანელები, ხოლო რასობრივ დისკრიმინაციას კიდევ დიდი ხანი განიცდიდნენ, იქამდეც კი, რომ რასობრივი სეგრეგაციის სიმწარე თვით ამერიკის ახლანდელ პრეზიდენტსაც უგემია სიყმაწვილეში? ახლა იგივე ამერიკას ჰყოფნის ცინიზმი, რომ სიტყვა ზანგის ხსენებაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისცენ მავანი!

ან ეს ის იანკები ხომ არ არიან, რომლებმაც მარტივ მამრავლებად დაშალეს იუგოსლავია, მიწასთან გაასწორეს მართლმადიდებელი სერბეთი, კოსოვოს „ახევა“ არ აკმარეს და ჩერნოგორიაც მიაყოლეს. არადა, სვანსა და კახელს შორის უფრო მეტი განსხვავებაა, ვიდრე ჩერნოგორიელ სერბებსა და სერბეთის სერბებს შორის!

ის დემოკრატები ხომ არ არიან, ვინც ცეცხლითა და მახვილით „დაამყარეს დემოკრატია“ ერაყში, ყირგიზეთში, ლიბიაში, ტუნისში, სირიაში და აგერ ავღანეთში, სადაც საზარბაზნე ხორცად ქართველ ბიჭებს ერეკებიან?!

რაც შეეხება რუსეთს და საქართველოს, დავიღალე ამაზე წერით და ლაპარაკით. ამიტომ ჩვენს შვილებს ვურჩევ, ბუჩქიდან ბუჩქებში გადასვლის შუალედებში წიგნი წაიკითხონ, მაგალითად, დიდი ილია და ნახავენ, რომ რუსები ისე სასტიკად გვეპყრობოდნენ, რომ ფიზიკურ განადგურებას გადავრჩით, ხორციელად მოვმრავლდით და წერა-კითხვის უცოდინარი ერი, ისეთ ევროპულ განათლებას ვეზიარეთ პეტერბურგში, რომ ილია, აკაკი და ვაჟა ვშობეთ XIX საუკუნეში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში ამერ-იმერი ერთიანი საქართველო მივიღეთ „კინკილა“ ქართლ-კახეთის სანაცვლოდ, რომელიც პირველი შეიერთა რუსეთის იმპერიამ 1801 წელს. აღარაფერს ვიტყვი უკვე საბჭოთა კავშირის დროინდელ საქართველოზე, სადაც მეცნიერებამ, კულტურამ, მწერლობამ და ა.შ. ისეთ სიმაღლეებს მიაღწია, რომელზედაც დღეს მხოლოდ ოცნება თუ შეგვიძლია!

წიგნი იკითხეთ, წიგნი, და უნივერსიტეტის წინ როცა გაგაჩერებენ და გკითხავენ, შოთა რუსთაველი რომელ საუკუნეში მეფობდა, ან თამარ მეფე რა გვარი იყო, სამარცხვინო პასუხებს კი არ გასცემთ, არამედ მიხვდებით დაცინვას და კითხვის დამსმელს დედ-მამის სულს ამოუტრიალებთ...

**დავით მხეიძე**

**P. S. მივმართავ ჩვენს შემოქმედებით ინტელიგენციას და სხვებსაც, ქართველ საზოგადოებაში ცნობილ პიროვნებებს – როგორც პედერასტების დამცველ თომას ჰამერბერგს მოსთხოვეთ პასუხი, ასევე პასუხი აქვს მოსათხოვი მისტერ რიჩარდ ნორლანდს, რადგან ბოდიში თუ ვინმეს აქვს მოსახდელი, ეს ბატონი ელჩია და იქნებ ინებოთ, ბატონებო და ქალბატონებო, გარჯა თორემ, როგორც ჩანს, სხვა არავინ არის ხმის ამომღები...**

**დ. მ.**

**ალიან-ჩალიანი**

## სამხედროებმა მიიღეს თავდაცვის ზღუდეების მშენებლობის დაკონსერვების გადაწყვეტილება

**ამის შესახებ თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა ირაკლი ალასანიამ პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე დასმული კითხვის პასუხად განაცხადა. ალასანიას თქმით, თავდაცვითი ზღუდეების მშენებლობის ნაწილი დაკონსერვდა.**

**– უკიდურესად გაკვირვებული ვიყავი, როდესაც საქართველოს პრეზიდენტმა ასეთი განცხადებები გააკეთა და მიანიშნა ადგილები, მიანიშნა რა ხასიათის იყო ეს ზღუდეები. მაგრამ მგონია, რომ ამ შემთხვევაში სამხედროებმა უკეთ იციან რომელი ინფრასტრუქტურა, საინჟინრო და სამხედრო, სჭირდებათ საკუთარი ამოცანების შესრულებაში და მე ნაკლებად ვერევი ასეთ კონკრეტულ სამხედრო გადაწყვეტილებებში. მე ვარ მინისტრი, რომელმაც უნდა უზრუნველვყო პოლიტიკურად და ფინანსურადაც მათი დამოუკიდებლობაც და მათთვის ინსტრუმენტების მიცემა თავდაცვის განხორციელებისთვის, – განაცხადა ალასანიამ.**

ინტერპრესი

აბანოში გამოჩნდება...

# „გვარამია ინტელექტუალია, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის არამზადა იყო!“




**„რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი დავით ზურაბიშვილი „რუსთავი 2“ - ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას საჯაროდ ბოდიშის მოხდას სთხოვს. რამდენიმე დღის წინ ნიკა გვარამიამ „რუსთავი 2“-ის ეთერში განაცხადა, რომ 7 ნოემბერს სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა. ზურაბიშვილი თვლის, რომ ასეთ რალაცებზე წაყრუება არ შეიძლება, გვარამიას მხრიდან საჭიროა ბოდიშის მოხდა ან მისი განცხადების ფაქტებით გამყარება.**

**როგორც ზურაბიშვილი ამბობს, გვარამიას ეს განცხადება შეურაცხყოფაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც 7 ნოემბერის მოვლენებს წარმართავდნენ.**

**„ყოფილი გენერალური პროკურორის, ამჟამად „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას განცხადებას, რომლის მიხედვით, 2007 წლის 7 ნოემბერს იყო სახელმწიფო გადატრილების მცდელობა ბადრი პატარკაციშვილის მხრიდან, მივიჩნევ პირადად ჩემი და არა ერთი იმ ადამიანის შეურაცხყოფად, რომლებიც მონაწილეობდნენ იმ აქციებში. მე არ ვარ მომხრე კონფრომტაციის და ადამიანების დაყოფისა „ამისტებად“ და „იმისტებად“.**

**როდესაც გაბრალებენ სახელმწიფოს ღალატს და გადატრიალების მცდელობას და ამას აკეთებს ადამიანი, რომელსაც გენპროკურორის თანამდებობა ეკავა იმ დროს, მაშინ მან კეთილი უნდა ინებოს და პასუხი აგოს თავის სიტყვებზე, დაასაბუთოს ეს ბრალდება, ან საჯაროდ მოიხადოს ბოდიში. ეს არ არის პოლიტიკური შეფასება, ეს არის დანაშაულის დაბრალება. მე ვაპირებ, იურისტებს მივმართო და სასამართლოშიც შევიტანო სარჩელი, იმიტომ, რომ ეს დანაშაულის დაბრალებაა. ან საჯაროდ მოიხადოს ბოდიში, ან დადოს ის მტკიცებულებები, რომ მე და ჩემი მეგობრები ვამზადებდით გადატრიალებას“,** — აცხადებს დავით ზურაბიშვილი.

გვარამია დავით ზურაბიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება და „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთ ლიდერს მოუწოდებს ყურადღებით მოისმინოს განცხადებები.

**„დავით ზურაბიშვილის განცხადება არის სრულიად არაადეკვატური. როგორც ჩანს, მას ჩემთვის არ მოუსმენია, ყურმოკვრით იცის, ან მე მიჭირს უკვე გასაგებად საუბარი. მე ვსაუბრობდი ბადრი პატარკაციშვილზე, დავით ზურაბიშვილი არ მიხსენებია. თუ მას ჰგონია, რომ მისი სახელი და გვარი დამავიწყდა, ძალიან ცდება, ან მისი მერიდება. ასე რომ ვფიქრობდე, მასაც ვახსენებდი. მე ვსაუბრობდი ბადრი პატარკაციშვილზე. დარწმუნებული ვარ, მისი ამოცანა იყო საქართველოში ხელისუფლების შეცვლა ნებისმიერი მეთოდით. გადაცემაში 7 ნოემბერიც კი არ მიხსენებია, არამც თუ რომელიმე პოლიტიკური პარტია და კონკრეტულად დავით ზურაბიშვილი. ვინმეს ხსენება რომ მდომოდა, არავის არ მერიდება, არც მეშინია და არც არავინ არ დამვიწყებია, ვახსენებდი აუცილებლად“, თუ დავით ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ იგი ბადრი პატარკაციშვილის თამაშის ნაწილი იყო, ან თუ იცის ამის თაობაზე, ეს მისი პრობლემაა. მისივე თქმით, თუ ზურაბიშვილი ფიქრობს, რომ ბადრი პატარკაციშვილი ზურაბიშვილისა და მისი პარტიის გარეშე რაიმეს განხორციელებას ვერ შეძლებდა, ძალიან გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონია საკუთარ თავზეც და საკუთარ პარტიაზეც,** — განაცხადა ნიკა გვარამიამ.

როგორც ცნობილია ნიკა გვარამია გახლავთ ფილმის „ნოემბრიდან ნოემბრამდეს“ ავტორი. სწორედ მისი გენერალური პროკურორის მოადგილეობის დროს აღიძრა ოპოზიციის ლიდერების და ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე ბრალდებით — „შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ“. მაშინ ერთ-ერთი მთავარი მტკიცებულება პატარკაციშვილის მიერ გაკეთებული განცხადება და საპროტესტო აქციაზე სიტყვით გამოსვლა იყო.

მაშინ პატარკაციშვილთან ერთად სახელმწიფო გადატრიალებაში, ჯაშუშობაში, ფულის გათეთრებაში და „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში ბრალი ედებოდა რეჟისორ **გოგა ხაინდრავას,** თუმცა ამის მიუხედავად ის არც ერთხელ არ ყოფილა დაკითხული. მისივე თქმით, ის მიმართავს, რომ გასაჯაროვდეს ყველა ის მასალა, რის საფუძველზე გენერალურმა პროკურატურამ ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**„გვარამია არის დამნაშავე და ამაზე მეტყველებს ის, რომ გენერალური პროკურორის რანგში ლაპარაკობდა იმ დანაშაულობებზე, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა და რომლის დამტკიცებას ის ვერ შეძლებს. 7 მუხლით აღიძრა ჩემს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე, ნიკა გვარამიას მოუწევს იმის დასაბუთება, რასაც ის საკუთარ ტელევიზიაში ლაპარაკობდა. ნინო შუბლაძესთან ლაპარაკი მარტივია, აი გოგა ხაინდრავას როგორ დაელაპარაკება და როგორ დაადასტურებს, რომ ჩვენ გადატრიალების მომწყობი ვიყავით, ვნახოთ, ეს რამდენად მარტივი იქნება მისთვის. 5 წელი ჰქონდათ იმისთვის, რომ დაემტკიცებინათ ჩემთვის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, ჯაშუშობა, ფულის გათეთრება, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირი და ა.შ. ბევრი დრო ჰქონდათ ამის დასამტკიცებლად, მაგრამ ეს იყო ტყუილი, ეს იყო პოლიტიკური დევნის კლასიკური ნიმუში. მაგათ და ე.წ. ევროპული ღირებულებების პოლიტიკოსებს ვაჩვენებ, რას ნიშნავს პოლიტიკური დევნა, ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური დევნის ობიექტი, თუ მე ვიყავი პოლიტიკური დევნის ობიექტი მთელი ამ წლების განმავლობაში?! პირობას ვაძლევ გვარამიას და ბარამიძეს, რომ მათ სასამართლოში შევხვდები აუცილებლად.**

**მან ამავე გადაცემაში თქვა, რომ ჩვენი პოლიტიკური ოპონენტები იყვნენ და იმიტომ არ დავიჭირეთო. ეს რას ჰქვია, მე თუ დასაჭერი ვიყავი, რა მნიშვნელობა აქვს ოპონენტი ვარ, კორესპონდენტი თუ ავტოინსპექტორი? თუ დასაჭერი ვარ, უნდა დამიჭირო, მით უმეტეს, ისეთ მძიმე დანაშაულზე, როგორიც არის სახელმწიფო გადატრიალება, ჯაშუშობაზე არაფერს არ ვლაპარაკობ. ერთსაც და მეორესაც პასუხების გაცემა კი არა, პასუხისგება მოუწევთ. ნიკა გვარამია იური ნიკულინი კი არ იყო, ის იყო გენერალური პროკურორის მოადგილე და როგორც გენერალური პროკურორის მოადგილე, ისე აგებს პასუხს. 5 წლის მერეც რომ იგივეს იმეორებს, ეს უნდა დაადასტუროს,** — აღნიშნა გოგა ხაინდრავამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **ლევან ბერძენიშვილი** რომელსაც ასევე ჯაშუშობაში სდებდნენ ბრალს, ამბობს, რომ ბრალდება იმდენად უსუსური იყო, რომ საქმის გამოძიებას აზრი არ ჰქონდა, რადგან არ არსებობდა მტკიცებულება.

**„არასოდეს არ გამოვუძახებივარ არავის დაკითხვაზე, არავინ არასოდეს არ დაკითხულა. აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა, რომ ბერძენიშვილი შნურით იყო მიბმულიო. არავის არ დავუკითხივარ და თუ მხოლოდ თავისი თავი დაკითხეს, არ ვიცი. არ ვაპირებ სასამართლოში წასვლას, გვარამიას თავისი უბედურება ეყოფა. მტერმა ჩაიხედა მის თავში. საქმე ისაა, რომ ის არის ინტელექტუალი „რა, სად, როდის“-ს მოთამაშე, მაგრამ ჩემთვის ყოველთვის იყო ის, რაც არის — არამზადა! „კონსერვატიული პარტიით“ შემოიყვანა პარლამენტში ზვიად ძიძიგურმა, უმადური ვინმეა. მერე იყო განათლების მინისტრი, რომელიც განათლების მინისტრობის მერე წავიდა სასწავლებლად. შემთხვევითი კაცია, თუმცა ნიჭიერი. რატომ მოუვიდა თავში დღეს ილაპარაკოს ბადრი პატარაკაციშვილზე და ლევან ბერძენიშვილზე, მართალი გითხრათ, არ ვიცი. არავინ უშლიდა ხელს, 5 წელი ჰქონდათ იმისათვის, რომ დავეკითხე. იურისტია და იცის, რომ კაცი თუ დამნაშავეა, უნდა დაკითხო. ასე არ გამოვა, გვარამიამ ილაპარაკოს, რომ დამნაშავე ვარ და ამის გამო, მე თავი ვიმართლო“,** — განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა.

**თამთა ქარჩავა**

ალიან-ჩალიანი



## კომისიის შემადგენლობა იცვლება

**— ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შეწყალების კომისიის ახლანდელმა თავმჯდომარემ ელენე თევდორაძემ განუცხადა. მისი თქმით, სურვილი აქვს, კომისიაში დარჩეს, თუმცა არ გამორიცხავს, რომ კომისიის თავმჯდომარედ აღარ იმუშაოს. თევდორაძის თქმით, ჯერჯერობით ახალ პრეზიდენტს შეწყალების კომისიასთან დაკავშირებით დებულება არ შეუმუშავებია, რის გამოც 23 ნოემბერს — გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, პატიმართა შეწყალება არ მოხდება.**

**მიუხედავად ამისა, ელენე თევდორაძის თქმით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეწყალების მთხოვნელთა განცხადებები მაინც შედის და ამ დრომდე 200-მდე პატიმრის განცხადებაა შესული.**

**— შესაძლოა, ახალმა პრეზიდენტმა თქვას, ეს ყველაფერი არ მაინტერესებს - ვიწყებ ახალი ფურცლიდანო, რადგან ყველა განცხადება დაწერილია სააკაშვილის სახელზე. დარწმუნებული ვარ, შეწყალების კომისიის შემადგენლობა შეიცვლება, არ ვიცი დავრჩები თუ არა მე თვითონ, მაგრამ რომ შეიცვლება, ამაში ეჭვი არ მეპარება, იმიტომ, რომ კომისიის შემადგენლობაში ძირითადად იყვნენ სააკაშვილის მრჩევლები, მათ შორის ვან ბაიბურთი, გიორგი გოდაბრელიძე, ნინო კალანდაძე, ანჯაფარიძე და ასე შემდეგ, — განაცხადა ელენე თევდორაძემ.**

**ამასთან, თევდორაძის თქმით, ჯერ კიდევ არსებულ შეწყალების კომისიაში არიან პირები, რომლებიც 2005 წლიდან მუშაობენ კომისიაში, მათ შორის: ლაშა ბუღაძე, მამუკა ფაჩუაშვილი და ასე შემდეგ.**

**— როდესაც პრეზიდენტი ნიშნავს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, ეს ძალიან დიდ ნდობას ნიშნავს. თუ ჩემი სურვილი გაინტერესებთ, კომისიის თავმჯდომარეობის სურვილი მაქვს, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს. თუ კი თავმჯდომარე აღარ ვიქნები, ალბათ, პენსიაზე გავალ. ახალმა პრეზიდენტმა ახალი დებულება უნდა შეიმუშაოს, რის საფუძველზეც შემდეგ კომისია იმუშავებს. დებულებაში დამატებით იქნება შეტანილი კომისიის შემადგენლობაც. აქამდე არსებული დებულებით, წელიწადში სავალდებულო იყო 2 სხდომის ჩატარება და დამატებით კიდევ შეიძლებოდა გაგვემართა კომისიის სხდომა. შევარდნაძის დროს, კომისიის თავმჯდომარე როდესაც მიიჩნევდა, რომ საკმარისი საქმეები იყო შემოსული განსახილველად, მაშინ ნიშნავდა სხდომას. მე ეს უფრო მომწონდა, — განაცხადა თევდორაძემ.**

**მისი თქმით, გამორიცხული არ არის, რომ გიორგი მარგველაშვილმა ის პატიმრები, რომლებსაც განცხადება უკვე შეტანილი აქვს შეწყალების კომისიაში, ახალი კომისიის ფორმირების შემდეგ საახალწლოდ შეიწყალოს.**

## დავით ლორთქიფანიძე, შესაძლოა, „ქართული ოცნებიდან“ გარიცხონ

**არსებული ინფორმაციით, მას უახლოეს დღეებში საპარლამენტო უმრავლესობის რიგებსაც დაატოვებინებენ. ლორთქიფანიძის გარიცხვის თაობაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია და აღნიშნული ოფიციალურად „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს უახლოეს სხდომაზე გაფორმდება. პოლიტსაბჭოს სხდომა პარტიული ყრილობის შემდეგ იგეგმება.**

**ამასთან, 16 ნოემბერს გამართულ ფრაქცია „ქართული ოცნების“ სხდომაზე, სადაც, ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე ზაქარია ქუცნაშვილის გიორგი ვოლსკით ჩანაცვლების შესახებ გახდა ცნობილი, მიღებულ იქნა კიდევ ერთი გადაწყვეტილება — ლორთქიფანიძის პარტიიდან და ფრაქციიდან გარიცხვის თაობაზე. „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციით, შეხვედრაზე საკმაოდ მძიმე საუბარს ჰქონდა ადგილი დავით საგანელიძესა და ლორთქიფანიძეს შორის.**

**ამასთან, ლორთქიფანიძე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს, დავით საგანელიძეს ღიად საპრეზიდენტო არჩევნების წინაც დაუპირისპირდა. ლორთქიფანიძე საარჩევნო შტაბიდან დეპუტატების გარიყვაზე, უმრავლესობის შიგნით რამდენიმე დეპუტატისთვის „დისკომფორტის შექმნაზე“ საუბრობდა და ამაში საგანელიძეს ადანაშაულებდა.**

## გიორგი თარგამაძე პარტიის ხელმძღვანელის პოსტის დატოვებას გეგმავდა

**როგორც პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ახვლედიანმა გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გიორგი თარგამაძემ თანამდებობის დატოვების სურვილი საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოთქვა.**

**— მოსაზრებები და სურვილები ამასთან დაკავშირებით თავად გიორგი თარგამაძისგან იყო დაფიქსირებული, რომ გარკვეული ცვლილებები პარტიის ხელმძღვანელობაში განხორციელებულიყო. ეს იყო მისი მოსაზრება საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. არც ერთ ლიდერს არ აუტაცია ეს მოსაზრება და შესაბამისად პარტიაში განხილვის საგანი არ გამხდარა. პარტიაში ცვლილებების განხორციელების შესახებ მოსაზრებებს კატეგორიულად ვეწინააღმდეგები და მიუღებელია ჩემთვის. ეს მხოლოდ სურვილის, იდეის დონეზე იყო მისგან გაჟღერებული. პარტიაში ამ საკითხის განხილვა არ მიმდინარეობს და არც დამდგარა, — განაცხადა ახვლედიანმა.**

ინტერპრესი

# ბრიუსელის პოლიტიკური ჭადრაკი გრძელდება

**ახლოვდება ვილნიუსის სამიტი და კიდევ უფრო ინტენსიური ხდება საქართველოს პოლიტიკოსების თავდავიწყებული, დაბეჯითებული ლაპარაკი — ვილნიუსის დოკუმენტის პარაფირების და არა მარტო პარაფირების, ევროკავშირში გაწევრების თაობაზე. შესაშური ოპტიმიზმი ახასიათებს ქართულ პოლიტიკას, რაც თავისთავად იძლევა მოსახლეობის გაბრუების შანსს.**

პოლიტიკოსობა 20 წელიწადი ასმენინებს ხალხს ნატოში და ევროკავშირში შესვლის ზღაპარს და ისიც ცხვარივით ისმენს, თავჩაქინდრული, თავის საქმით გართული. ისმენს და აგრძელებს ცოხნას — **შევალთ ხომ კარგი, არ შევალთ და მერე რაო.**

საზოგადოებას არ ადარდებს ნატო-ევროკავშირი, მას თავისი პრობლემები აქვს. ვისაც ადარდებს — ხელისუფლებაა, გუშინდელი, დღევანდელი, ხალხის ზრუნვაში „გადაქანცული“! ხელისუფლება, ხალხის სახელით აცხადებს — საქართველომ რახანია გადაწყვიტა ნატო-ევროკავშირში შესვლაო.

გადაწყვიტა ერთია, მაგრამ შესვლა — მეორე. პარაფირება, შესვლას არ ნიშნავს, არც ასოცირებული წევრობა, რომელსაც, კარგად მოქცევის შემთხვევაში, ერთი წლის შემდეგ გვიბოძებენ. ასოცირებული წევრობა, ისეთი რამ არის, როგორც ნატოსთვის „მაპი“ ან „მაპზე“ უკეთესი, მაგრამ წევრობა — არა. იქნებ გვეკითხა მეზობელი თურქეთისთვის, რა არის ევროკავშირის ასოცირებული წევრობა?

მრავალი წელიწადია თურქეთს წევრობას ჰპირდებიან, მაგრამ. . . ხან რას იგონებს ბრიუსელი და ხან რას. თურქეთი, ბოლოს და ბოლოს დაარწმუნეს, რომ მთელი რიგი პუნქტების მოგვარებაა საჭირო. ჰოდა, ყოველწლიურად მიმდინარეობს ევროკავშირის მიერ თურქეთისთვის მიცემული საშინაო დავალების შემოწმება.

ამჯერად, ანკარა ორი პუნქტის შესრულების თაობაზე აბარებს ბრიუსელს ანგარიშს. შესასრულებელი პუნქტების რაოდენობა არ მცირდება — პირიქით, რაც აღშფოთებას იწვევს თურქეთის ხელისუფლებაში, განსაკუთრებით პრემიერ-მინისტრ ერდოღანში. ამას, ხომ არ უნდა მიეწეროს თურქეთის განცხადება საბაჟო კავშირში შესვლასთან დაკავშირებით?

მაგრამ მარტო თურქეთი რომ არ გამოთქვამს ასეთ სურვილს? საბაჟო კავშირში შესვლის წინადადებით ირანმა, ცენტრალური აზიის (ყაზახეთის გარდა, ის უკვე წევრია ამ ორგანიზაციის) ქვეყნებმა, ინდოეთმა, ვიეტნამმა, სხვებმაც მიმართეს მოსკოვს. საბაჟო კავშირი, ხოლო 2015 წლიდან ევრაზიული კავშირი, პერსპექტივის მატარებელ ორგანიზაციად იქმნება. და თუ ეს ორგანიზაცია ეფექტიანად ამოქმედდება, უაღრესად დიდ რეგიონს მოიცავს. შანხაის ორგანიზაციასთან ერთად მას შეეძლება კონკურენციის გაწევა ევროკავშირისთვის.

არის თუ არა საბაჟო კავშირის, შემდგომში ევრაზიული კავშირის საკითხის შესწავლა საჭირო? ნებისმიერი კავშირის ღრმა და არა ზერელე შესწავლა არათუ საჭირო, აუცილებელიცაა, მაგრამ ევრაზიული კავშირი რუსეთს და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს უკავშირდება, ამდენად საკითხის განხილვის პერსპექტივა ნულის ტოლია.

**ხელისუფალთა მტკიცებით, საქართველო დასავლური ორიენტაციის მატარებელია და მას ვერაფერი შეცვლის. ერთხელ, ბიძინა ივანიშვილმა ბრძანა, ნატო და ევროკავშირი ჩვენი ოცნებააო და თუ ეს ორგანიზაციები აღარ იქნებიან, რაც პერსპექტივაში შესაძლებელია, სხვაგან შევალთო. ნუთუ ასე იოლია ერთი ბანაკიდან, მეორეში გადახტომა?! ბიზნესმენს ეპატიება. ის სხვაგვარად უდგება საჭირბოროტო პოლიტიკურ თემებს, მაგრამ პოლიტიკოსს — არა!**

ვილნიუსის სამიტზე განხორციელდება საქართველოს ევროკავშირზე „დანიშვნა“, ისე, როგორც ეს ქორწინების წინ, ნიშნობაზე ხდება, თუმცა „დანიშვნა“ უფრო ერთი წლის შემდგომ პროცედურას, ანუ ასოცირებულ წევრობას მიესადაგება. „დანიშნული“ საქართველო კი მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება იყოს ამ პოზიციაში, ისე, როგორც თურქეთი. მავანი შემედავება, რით არიან საქართველოზე მეტი ბულგარეთი, რუმინეთი, ბალკანეთის ქვეყნები, ისინი ხომ რახანია ევროკავშირის წევრები არიანო.

აღნიშნული ქვეყნები, ჯერ ერთი - ევროპის კონტინენტზე არიან, მეორეც — მათი ცხოვრების დონის მიღწევამდე საქართველოს მრავალი წელიწადი დასჭირდება. სხვა არის ბულგარელებისა და რუმინელების მენტალიტეტიც. მათ იციან, რა არის შრომა, იციან რომ სამსახურის გაცდენა მძიმედ დაუჯდებათ. იციან, რომ დაკისრებული მოვალეობა კეთილსინდისიერად უნდა შეასრულონ და არ უნდა „წაასამშაბათონ“, რაც სისტემატურად ხდება ჩვენთან.

საბჭოთა სისტემის დროს არაერთხელ მქონდა შესაძლებლობა გავცნობოდი ამ ქვეყნებს, მათ ცხოვრებას, ზღვისპირა კურორტებს, სადაც თავს იყრიდნენ მთელი ევროპის ტურისტები. ბევრის მნახველმა ერთმა უნგრელმა ტურისტმა, რუმინეთის ტურისტული კომპლექსების „სატურნის“, „ვენერას“, „მარსის“, „ეიფორიის“ და სხვათა მონახულების შემდეგ გულახდილად მითხრა — არაფრით ჩამოუვარდება ესპანეთის, საფრანგეთის, აშშ-ს ზღვისპირა კურორტებსო.

სოფიაში, ღამით გასეირნების დროს, ჩემი ყურადღება მიიპყრო მოედნისა და მიმდებარე ქუჩების სარეცხი ფხვნილითა და წყლით ხეხვამ, არადა დაუსუფთავებელ ქუჩასაც წუნს ვერ დავდებდი. პატარა ნიუანსია, მაგრამ მიმანიშნებელი დავალებული სამუშაოს პირნათლად შესრულებაზე.

კიდევ ერთი მაგალითი. საბჭოთა კავშირის ჟამს აშენდა გუდაურის სასტუმრო „მარკო პოლო“. ჩემი მეგობარი ინჟინრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მშენებლობის ხელმძღვანელმა ავსტრიელმა ქვიშის გაცრა მოსთხოვა მათ. ქვიშა სუფთა უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ბეტონი მტკიცე არ იქნებაო, - ამბობდა ავსტრიელი.

სასტუმროს გახსნის ცერემონიალის წინაღამით, სასტუმროს ქართველი დირექტორის ყურადღება მიიპყრო რესტორნის დარბაზში შუქმა, როდესაც შეიხედა, დაინახა სასტუმროს გერმანელი ადმინისტრატორი ქალი, რომელიც იატაკს აპრიალებდა. გაოცებულ დირექტორს ქალბატონმა მიუგო — ხვალ გახსნაა, სტუმრები რესტორანში შემოვლენ, რაღაც არ მომეწონა იატაკის სიპრიალე და გადავწყვიტე ჩემებურად გამეპრიალებინაო. არადა სასტუმროს ადმინისტრატორს არაფერი ესაქმებოდა რესტორნის იატაკთან, გარდა ერთისა - საერთო საქმე.

როდესაც იტალიის ერთ-ერთი ქალაქის მერი, სამუშაოდან თავისუფალ დროს, ქუჩას ასუფთავებს, საქმის სიყვარულია და არა „პიარი“, რასაც ხშირად მიმართავენ თბილისის მერიის ბობოლები.

**იქ, იმ დალოცვილ ევროკავშირში სხვა მენტალიტეტია, სხვანაირი მიდგომა საერთო საქმისადმი და არა ისეთი ფეოდალური, როგორც ჩვენში. ვინმე წარმოიდგენს კოლეგა თანამშრომლის წინა ღამით ნაქეიფარი სახის ყურებას?! მით უმეტეს კუჭიდან ამოსული ალკოჰოლის „სურნელს“ აიტანს ვინმე? არასდროს შევხვედრივარ ნაბახუსევის მიერ ჰაერგაჟღენთილ ავტობუსს იქ — აქ თითქმის ყოველდღე.**

**თითქოს უმნიშვნელო რამაა, მაგრამ მნიშვნელოვანი. ნახავთ სადმე ევროპაში მეპურე, რომ ცომს ზელდეს პირში სიგარეტგაჩრილი ან ხელით გაძლევდეთ პურს? აქ ტრადიციადაა ქცეული თონიდან ამოღებული პურის ძველი გაზეთის ნაგლეჯში შეხვევა, რა მოხდაო? ვამბობთ ჩვენ. არც არაფერი, მაგრამ ასეთნი მიუღებელი ვიქნებით ევროპისთვის.**

**გინახავთ ვინმეს იმ დალოცვილ ევროპის სუპერმარკეტში დახლზე დადებულ ძეხვს ფასი არ ეწეროს? მე, პირადად არ მინახავს. აქ კი, ასეთს ხშირად წააწყდებით, უფრო მეტიც, როდესაც „სუპერმარკეტის“ თანამშრომლებმა არ იციან საქონლის ფასი — „არ ვიცით და სხვა იყიდეთო“, — უმალ გეტყვიან.**

წვრილმანია, მაგრამ მნიშვნელოვანი, დამახასიათებელი ზერელე საზოგადოებისთვის. ზერელობა და ევროკავშირი შორსაა ერთმანეთისგან. წვრილმანი საქმეებიდან იქმნება მსხვილმანი, საქვეყნო საქმეები.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, ევროკავშირში შესულები, დღესაც დიდი თავსატკივარია ძველი ევროპისთვის, ისე, როგორც აღმოსავლეთი გერმანია — სოციალისტური ბანაკის ეტალონი, დასავლეთ გერმანიისთვის.

**შრომის სწავლა უმაღლესიდან არ იწყება, სკოლიდან იწყება. სამწუხაროდ, იმ ახალგაზრდებს, ვინც ევროკავშირს გვპირდება, უცხოეთის სასწავლებლებში გავლილი ხანმოკლე კურსები, განათლება ჰგონიათ. მსგავსი „განათლების“ მქონე ახალგაზრდობამ ჩაანაცვლა (ცხადია ძალისმიერად) პროფესიონალი კადრები. შეხვალთ მათ კაბინეტებში და უმალ იხილავთ კედელზე ჩამოკიდებულ, ჩარჩოში ჩასმულ უცხოური დიპლომებისა და სერტიფიკატების ასლებს — „ჩემი თუ არ გჯერათ, ამას დაუჯერეთო“, — უსიტყვოდ გეუბნებათ თავდაჯერებული ყმაწვილი.**




მაინც, რატომ უნდა ხელისუფლებას ნატო-ევროკავშირში შესვლა? მარტივი მიზეზის გამო —ყველაფერს მათ დააბრალებს. მე რა ვქნა, ბრიუსელს ასე უნდაო — გვეტყვის უტუხად. ბრიუსელიდან დიდ დისტანციაზე მყოფი გვეუბნება და იქ შესული არა? ხელისუფლებას ჰგონია, რომ ევროკავშირში შესვლით მთელი პასუხისმგებლობა ბრიუსელს დაეკისრება, თვითონ კი განცხრომაში იქნება. იცის თუ არა ეს, ევროკავშირმა?

**ცხადია, იცის, ამიტომაც აქვს დაწესებული გამოსაცდელი ვადა, რომელიც უსასრულობამდე შეიძლება გაგრძელდეს — კანონმდებლობის ჰარმონიზაციით, სასამართლო სისტემის დახვეწით, ადამიანის უფლებათა დაცვის (მათ შორის მამათმავალთა) მოთხოვნით, ევროკავშირის ქვეყნებში არალეგალ ქართველთა სამშობლოში იძულებით დაბრუნებით, „თურქი-მესხების“ ჩამოსახლების პროცესის ინტენსიფიკაციით, მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებით და სხვა.**

თურქეთს არ შეუშვებენ ევროკავშირში, ვიდრე ჯარს არ გამოიყვანს კვიპროსიდან. არც ჩვენ შეგვიშვებენ ნატო-ევროკავშირში, ვიდრე არ მოვაწესრიგებთ ყოფილ ავტონომიებთან ურთიერთობებს.

აღნიშნული ორგანიცაზიების წესდებაში არსად წერია, რომ ისინი ტერიტორიული მთლიანობის აღმდგენნი არიან. პირიქით, ისინი, როგორც კეთროვნებს ისე უყურებენ მსგავსი პრობლემების მქონე ქვეყნებს. ალბათ დადგება დრო, შესაძლოა, ძალიან მალე, როდესაც ბრიუსელი გვეტყვის მიგიღებთ, მხოლოდ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის გარეშეო. მინიშნებები კეთდება უკვე, რაც საყურადღებო უნდა იყოს. რას მოიმოქმედებს ასეთ შემთხვევაში ხელისუფლება? მაინც დაკარგული იყოო, — იტყვის. თუ მსგავსი რამ 2008 წლის ომის შემდეგ გაჟღერდა, როდესაც ქვეყნის ტერიტორიის 20% დაიკარგა, დღეს რა შეუშლის ხელს?

**მაშ, რატომ გვეპატიჟებიან ნატო-ევროკავშირი თავიანთ რიგებში? რბილად რომ ვთქვათ, გვატყუებენ, ტყუილით გვბერავენ. მიზანი? რომ არ გავიხედოთ ჩრდილოეთით, რომ არ შევიდეთ საბაჟო კავშირში, ევრაზიულ კავშირში. ულირს დასავლეთს ესოდენ ულირსი თამაში? ცხადია, ულირს. ის არა მარტო საქართველოს ეთამაშება, არამედ უკრაინას, მოლდოვას, ამიერკავკასიას, ბელორუსს.**

ევროკავშირი მარტო ეკონომიკური კავშირი არ არის — პოლიტიკური კავშირიცაა, უფრო სწორად პოლიტიკურ-ეკონომიკური. მისი მიზანი, ისე, როგორც პარტნიორი აშშ-ის, რუსეთის მოთოკვაა, მისი პოზიციების შესუსტება. რუსეთი უნდა გადაიქცეს მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ, მხოლოდ წიაღისეულის ბეღლად. მას არ უნდა ჰქონდეს გავლენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე. ისინი უნდა მოწყდნენ რუსეთის ორბიტას.

აღმოსავლეთის პარტნიორობა ევროპა-აშშ-ის გეგმის შემადგენელი ნაწილია. ამიტომაც მიმდინარეობს ბრიუსელის ბრძოლა უკრაინისთვის. უკრაინის რუსეთიდან ჩამოშორებით, დასავლეთი დაასუსტებს რუსეთს. დაასუსტებს უკრაინასაც, მაგრამ ეს უკვე უკრაინის ხელისუფლების თავსატეხი იქნება.

რუსეთიდან ჩამოშორებული უკრაინის ეკონომიკა რომ გაუარესდება, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ სოციალური პრობლემებით შეწუხებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვა და დაამხობს იანუკოვიჩის ხელისუფლებას. იანუკოვიჩს დასავლეთში სამარეში არავინ ჩაჰყვება. გაუხარდებათ კიდეც. და ვინ იცის, იქნებ დასავლეთის სასურველი იულია ტიმოშენკოს მზეც ამბორწყინდეს!

აშში არ ივიწყებს თავის „გმირებს“, ფერადი ანტირუსული რევოლუციების შემოქმედთ. არც ნაცებს და მათ ბელადს დაივიწყებს. ყველაფერს იღონებს მათი გადარჩენისთვის.

დასავლეთის პოლიტიკური ჭადრაკი გრძელდება. ჯერჯერობით ის იგებს. აიძულებს რუსეთს, ხელი აიღოს მის დასავლეთში არსებულ სივრცეზე. რუსეთი გრძნობს შეტევას და თავის მხრივ ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, თან აღმოსავლეთისკენ იყურება, უკეთესი „მოსავლისთვის“.

აზია-წყნარი ოკეანის სივრცე რახანია გამოცხადდა აშშ-ის მოჭარბებული ყურადღების ზონად. რუსეთმა აქაც დააგვიანა, თუმცა ბოლოდროინდელი პოლიტიკური ნაბიჯებით ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას. ამ მხრივ აღმოსავლეთის რკინიგზის რეკონსტრუქცია, რუსეთ-ჩრდილო და სამხრეთ კორეის რკინიგზის გაჭრა უდიდესი პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენა იქნება. პრეზიდენტ პუტინის ვიზიტმა ვიეტნამსა და სამხრეთ კორეაში წინ წამოსწია ისეთი საკითხი, როგორიცაა ციმბირის, რუსეთის შორეული აღმოსავლეთის განვითარება, აღნიშნულ ქვეყნებთან, პლიუს იაპონიასა და ჩინეთთან მჭიდრო თანამშრომლობა.

რუსეთის წიაღისეული რესურსები მომხიბლველია ინვესტორისთვის, მთავარია მოსკოვის თანხმობა. თავისუფალი ეკონომიკური ზონა - აი, ის გზა, რომელმაც ჩინეთი ფეხზე დააყენა. ჩინური გამოცდილების გაზიარება, უდავოდ, ხელს შეუწყობს რუსეთის შორეული აღმოსავლეთის აღორძინებას. თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით რუსეთი აპირებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

**სინანულით ვიხსენებ ჩინელი სპეციალისტების მიერ შემუშავებულ თავისუფალი ეკონომიკური ზონის კანონპროექტს, რომელიც ასლან აბაშიძის პირადი ინიციატივის ნაყოფი იყო და რახან მას სურდა ეს, ცხადია საქართველოს საკეთილდღეოდ, „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო უმრავლესობამ ჩააგდო კანონპროექტი. კანონის მიღების შემთხვევაში, ვინ იცის, როგორი ეკონომიკური ვითარება იქნებოდა საქართველოში?**

კრემლის გეგმების განხორციელების შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში სხვა რუსეთთან, სხვა ევრაზიულ კავშირთან გვექნება საქმე. ღირს ყოველივე ამაზე ხელის აღება, აბსტრაქტული ასოცირების სანაცვლოდ? საქართველოს იმ კავშირში უნდა ჰქონდეს საქმე, სადაც ჩვენს ნიჭს და გამოცდილებას ჯეროვნად დააფასებენ, სადაც ჯერაც მიგვესვლება სხვების თანაბრად და არა მესამეხარისხოვნად, რასაც ევროკავშირის ასოცირებული წევრობა გვპირდება.



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

პოზიცია

# „ცვლილება არის სამწუხარო ბედნიერთათვის, ბედკრულნი კი მას სიხარულით ეგებებიან“

**შექსპირის ეს აფორიზმი კარგად მიესადაგება „ბედნიერი“ ქოცებისა და ბედკრული ხალხის განსხვავებულ სულისკვეთებებს: პირველს გაგონება არ სურს ცვლილებისა, მეორე ცვლილებაში ხედავს თავის ხსნას. ცვლილება გულისხმობს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას, სამართლიანობის აღდგენას და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებას. სწორედ ამ სამი ძირითადი ამოცანის შესრულებას შეჰპირდა ხალხს ბიძინა ივანიშვილი საპარლამენტო არჩევნების წინ და ხალხმაც ამისთვის მისცა მას ხმა. მან კი არც ერთი ამ დაპირებათაგანი არ შეასრულა და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არსებითად არაფერი შეცვლილიყო.**

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება იყო და არის აშშ-თან „სტრატეგიულ პარტნიორობასა“ და „ნატოში შესვლაზე“ ლაყბობისთვის თავის დანებება, რადგან ეს ლაყბობა გამორიცხავს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას. საქმე რომ ეხებოდეს აშშ-თან კულტურულ ან ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეს ხელს არ შეუშლიდა რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მაგრამ აშშ-ს საქართველო რუსეთთან სამტროდ სჭირდება და არა კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობისათვის, რუსეთთან მტრობა კი დამანგრეველია საქართველოსათვის.

რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსათვის, არა მარტო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით, არამედ აგრეთვე სამართლიანობის აღდგენისა და ეკონომიკის აღდგენა-განვითარების, საერთოდ, ქვეყნის ვირტუალობიდან რეალობაში დაბრუნებისა და გადარჩენის თვალსაზრისით. რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება საშუალებას მისცემდა საქართველოს ხელისუფლებას, განთავისუფლებულიყო აშშ-ის ადმინისტრაციის მიერ თავსმოხვეული კანონსაწინააღმდეგო კოჰაბიტაციისაგან და შესაძლებელს გახდიდა სამართლიანობის აღდგენას. ეს კი, თავის მხრივ, სააკაშვილისა და ნაცხროვის მიერ მიტაცებული და საზღვარგარეთ გატანილი მილიარდების ბიუჯეტში დაბრუნების გზით, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებასაც ხელს შეაშველებდა.

რუსეთი უზარმაზარი ენერგორესურსებისა და გასაღების ბაზრის მქონე ქვეყანაა და ყოველი სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, მეზობელი თუ შორებელი, კეთილგანწყობილი თუ არაკეთილგანწყობილი, ცდილობს ნორმალური ურთიერთობა ჰქონდეს მასთან. ევროკავშირი და აშშ, რომლებსაც გულზე სულაც არ ახატიათ რუსეთი, უფლებას არ აძლევენ თავს, ურთიერთობა გაიფუჭონ მასთან. თვით იაპონია, რომლის კუნძულები მართლა ოკუპირებული აქვს რუსეთს, დიპლომატიურ ურთიერთობას არ წყვეტს მასთან, რადგან შეგნებული აქვს, რომ ურთიერთობის გაწყვეტით მხოლოდ საკუთარ თავს ივნებს. იგივე ითქმის გერმანიაზე, რომელიც, რუსეთის მიერ კანტის სამშობლო კენიგსბერგის ანექსიის მიუხედავად, ნორმალური ურთიერთობა აქვს რუსეთთან. საქართველოს ხელისუფლებას კი ისე სურს დაიბრუნოს „ოკუპირებული“ ტერიტორიები, რომ დიპლომატიური ურთიერთობა არ აღადგინოს რუსეთთან, რითაც არა მარტო იშორებს მათი დაბრუნების პერსპექტივას, არამედ საფრთხეს უქმნის დარჩენილსაც.

ამიტომ პირველი, რაც უნდა გაეკეთებინა პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს, ის იყო, რომ არჩევისთანავე ჩასულიყო მოსკოვში და შეხვედროდა პრეზიდენტ პუტინს, აღედგინა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და განეხილა მასთან ტერიტორიული მთლიანობისა და დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების საკითხები, რაც მან არ გააკეთა და ხელიდან გაუშვა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგების რეალური შანსი. ყველაზე უარესი კი ის არის, რომ იგი ამ შანსს თავის მიერ დანიშნულ პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტსაც არ უტოვებს, თორემ პოლიტიკაში დაბრუნდება: „საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკაში დაბრუნებას არ გამოვრიცხავ“!

მაინც რა შემთხვევას გულისხმობს ბატონი ბიძინა „საჭიროებაში“?

გამორიცხულია, რომ იგი სააკაშვილისა და მისი ხროვის ხელისუფლებაში დაბრუნების შემთხვევას გულისხმობდეს, რადგან, ფაქტობრივად, თვითონ დატოვა ისინი ხელისუფლებაში. საკმარისი იყო, პრემიერ-მინისტრს 2013 წლის 5 იანვარს ვადაგასულად გამოეცხადებინა სააკაშვილი და — დამთავრებული იყო მისი „პრეზიდენტობაც“ და ნაცების ყელყელაობაც. ბატონმა ბიძინამ, პირიქით, ათი თვით უკანონოდ გაუგრძელა მას საპრეზიდენტო ვადა, რითაც მნიშვნელოვანი ფინანსური, მორალური და პოლიტიკური ზიანი მიაყენა ქვეყანას. კონსტიტუციაში თვითნებურად ჩაწერილი საპრეზიდენტო არჩევნების ოქტომბერში გამართვის „მოთხოვნა“ სულაც არ ნიშნავდა „პრეზიდენტისთვის“ ვადის გაგრძელებას, პარლამენტის თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი. ბატონმა ბიძინამ ესეც არ იკმარა და, კუბლაშვილის „კარგ რეფორმატორად“ გამოცხადებით, ხელი შეუშალა პარლამენტს, იმპიჩმენტი მოეწყო მისთვის და ჩაეტარებინა სასამართლო რეფორმა.

სინამდვილეში, „საჭიროების შემთხვევა“ იმ შემთხვევას ნიშნავს, თუ ვინიცობაა, დანიშნული პრემიერ-მინისტრი და პრეზიდენტი დამნიშვნელის მიერ ნაჩვენებ გზას გადაუხვევენ და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგებას ეცდებიან! მართალია, პრეზიდენტი ჰპირდება, რომ „პლასტილინია“: **„ჩვენი პრიორიტეტია შეერთებულ შტატებთან ორმხრივი ურთიერთობების სრულფასოვანი და ყოველმხრივი განვითარება სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში...“** მაგრამ ემანდ ეშმაკმა არაფერი იხუმროს: Tempora mutantur et nos mutamur in illis („დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მათთან ერთად“). ბატონი ბიძინა შორს იყურება: საჭიროების შემთხვევაში, პოლიტიკაში დაბრუნებას არ გამორიცხავს!

მრჩეველ გია ხუხაშვილის რწმუნებით, ღარიბაშვილი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა იქნება: **„დარწმუნებული ვარ — ახალი მინისტრი ის ფიგურა იქნება, რომელიც დაწყებულ რეფორმებს გააგრძელებს... ივანიშვილის წასვლის შემდეგ, პოლიტიკა მეორე პლანზე გადაინაცვლებს. ღარიბაშვილის მთავარი გამოწვევა კი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება და მათზე კონკრეტული პასუხისმგებლობის აღებაა. ვფიქრობ, ახალ პრემიერს აქვს შესაბამისი ამბიციაც და ნიჭიც იმისთვის, რომ ეს ყველაფერი გადაწყვიტოს“.**

კინაღამ ჩემს მოგვარეს როგორ არ დავუჯერებ, მაგრამ თუ ღარიბაშვილი ივანიშვილის დაწყებულ რეფორმებს გააგრძელებს, დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურა როგორღა იქნება, აღარაფერს ვამბობ იმაზე, თუ რა „რეფორმებზეა“ საუბარი?! ივანიშვილის მიერ სააკაშვილის პროამერიკული კურსის უცვლელობაზეა საუბარი, პროამერიკული კურსით კი შესაძლებელი რომ ყოფილიყო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარება, აღარაფერს ვამბობ პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე, ამას სააკაშვილი თუ ვერა, ივანიშვილი მაინც მოახერხებდა. რაც შეეხება ამბიციასა და ნიჭს, ისინი არც მიშას აკლდა და ბიძინას, მაგრამ მარტო ამბიცია და ნიჭი რას უზამს, თუ ორიენტირის შეცვლამაც არ უშველა?!

**ომარ ხახაშვილი.**

18.11.2013

ადამიანის უფლებები

# „ჰიუმან რაიტს უოჩი“: ევროკავშირმა ღირებულებები უნდა დაიცვას!

**ვილნიუსში 28-29 ნოემბერს დანიშნული სამიტის წინ „ჰიუმან რაიტს უოჩი“ ევროკავშირს მიმართავს განცხადებით, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებული ადამიანის უფლებრივი მდგომარეობა მიიღოს მხედველობაში, სანამ ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებას მოახდენდეს. ადამიანის უფლებათა რა დარღვევებზე ამახვილებს ყურადღებას საერთაშორისო უფლებადამცავი ორგანიზაცია და იქონიებს თუ არა გავლენას ეს განცხადება ევროკავშირზე?**

საქართველოში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დადებითად შეაფასეს საერთაშორისო დამკვირვებლებმა, ნათქვამია ევროკავშირისადმი „ჰიუმან რაიტს უოჩის“ განცხადებაში, გაასწოროს ფოკუსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში არსებულ ადამიანის უფლებების საკითხებზე. თუმცა, ამასთან, ნათქვამია, რომ საქართველოში ნელი ტემპით მიმდინარეობს გამოძიება 2012 წელს ციხეში გამოვლენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. არსებობს კითხვები წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა დაკავშირებით შერჩევითი სამართლის გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე, სამართალდამცავებს ადეკვატური პასუხი არ გაუციათ რელიგიურ უმცირესობათა მიმართ გამოვლენილ ძალადობაზე. განცხადებაში მოყვანილია 17 მაისს ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქციის ძალადობრივი დაშლის ფაქტი და ნათქვამია, რომ პოლიციამ ვერ უზრუნველყო აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, „ჰიუმან რაიტს უოჩის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში **გიორგი გოგია** განმარტავს, რომ მისი ორგანიზაციის განცხადების სულისკვეთება მდგომარეობს იმაში, რომ ევროკავშირი იყოს თავისივე ღირებულებების ერთგული და ვინაიდან აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარი ქვაკუთხედი საერთო ღირებულებების დაცვაა, შესაბამისად, ევროკავშირმა არა გეოპოლიტიკურ საკითხებზე, არამედ საერთო ღირებულებების პატივისცემაზე უნდა დასვას აქცენტი.

**„პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებისას მხოლოდ გეოპოლიტიკური ფაქტორები არ უნდა იყოს გადამწყვეტი, თვითონ ევროკავშირს არაერთხელ გაუკეთებია განცხადება, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვაკუთხედი არის საერთო ღირებულებები და ეს ღირებულებები უნდა იყოს უმთავრესი ინტერესი ევროკავშირისთვის და სრულიად დომინირებული არ უნდა იყოს გეოპოლიტიკური ფაქტორები“.**

„ევროპული კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის **კახა გოგოლაშვილის** აზრით, ასეთი ტიპის განცხადებები წარმოშვა იმ შეხედულებამ, თითქოს ევროკავშირმა თავისი ნორმატიული მიდგომები შეცვალა გეოპოლიტიკური მიდგომებით. კახა გოგოლაშვილი გულისხმობს ევროკავშირის მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების პარალელურად რუსეთის გააქტიურებას და საბაჟო კავშირის შექმნის ინიციატივის დაყენებას. ამ სიტუაციაში, კახა გოგოლაშვილის სიტყვებით, **გამოჩნდა ისე, თითქოს ევროკავშირის ქვეყნებმა დაიწყეს თვალის დახუჭვა რაღაც ფაქტებზე, ვინაიდან ძალიან მაღლა აწეულმა თამასამ, დემოკრატიულობის თვალსაზრისით, შეიძლება ეს ყოფილი საბჭოთა ქვეყნები რუსეთისთვის იოლად ხელში ჩასაგდებად აქციოს.**

**დარწმუნებული ვარ და ეს გადაწყვეტილი საკითხია, რომ პარაფირება მოხდება ვილნიუსში და ეს არ არის ერთი რაღაც ისტორიული მოვლენა, ეს არის დასაწყისი ძალიან დიდი მნიშვნელობის პროცესისა, რომელიც თავისთავად გულისხმობს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კუთხითაც და ასევე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც,** ამბობს ალექსი პეტრიაშვილი

**„თუ ევროკავშირი დაუჯერებს „ჰიუმან რაიტს უოჩს“ და არ მოახდენს შეთანხმების პარაფირებას იმის გამო, რომ საქართველოს არ აქვს შესაბამისი პირობები დაკმაყოფილებული და იქ არის ადამიანის უფლებების დარღვევები, იყო გამოძიებული საქმეები და ვიღაც უსამართლოდ აღმოჩნდა დაპატიმრებული და ა.შ., და თუ ამის გამო არ მოხდება პარაფირება, აქ რუსეთს ეძლევა მეტი შანსი, რომ ამ გეოპოლიტიკურ „ომში“ საქართველოს ჩათრევა დაიწყოს საბაჟო კავშირში“.**

შესაბამისად, კახა გოგოლაშვილის სიტყვებით, არ შეიძლება აბსოლუტური მშვიდობის დროის შესაბამისი მიდგომების გამოყენება „ომის“ პირობებში. ამდენად, ექსპერტი მიიჩნევს,რომ „ჰიუმან რაიტს უოჩის“ განცხადებები ვილნიუსის სამიტზე მხედველობაში მიღებული არ იქნება. თუმცა, თავის მხრივ, „ჰიუმან რაიტს უოჩის“ მოვალეობაა სწორედ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე მიანიშნოს.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის საკითხებში **ალექსი პეტრიაშვილი** კი მიიჩნევს, **რომ ევროკავშირი, გარდა გეოპოლიტიკური მიზანშეწონილობისა, მხედველობაში სწორედ ადამიანის უფლებების თვალსაზრისით გაუმჯობესებულ მდგომარეობას იღებს მხედველობაში და ამ მხრივ ვილნიუსში ასოცირების შესახებ ხელშეკრულების პარაფირებას საქართველოსა და მოლდავეთთან წინ არაფერი დაუდგება:**

**„დარწმუნებული ვარ და ეს გადაწყვეტილი საკითხია, რომ პარაფირება მოხდება ვილნიუსში და ეს არ არის ერთი რაღაც ისტორიული მოვლენა, ეს არის დასაწყისი ძალიან დიდი მნიშვნელობის პროცესისა, რომელიც თავისთავად გულისხმობს სერიოზული ნაბიჯების გადადგმას დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის კუთხითაც და ასევე ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც და, შესაბამისად, მე არ მგონია, რომ ეს კონკრეტული განცხადება იქონიებს გავლენას გადაწყვეტილების შეცვლაზე ევროკავშირის მხრიდან. ასევე მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედაც მდგომარეობის გაუმჯობესება, მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა, იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ გადაწყვეტილების მიღებაში“.**

და მაინც, როგორც „ჰიუმან რაიტს უოჩის“ წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგია ამბობს, **ორგანიზაციის განცხადება არ მიემართება მხოლოდ ევროკავშირისკენ, რომ მან შეაფასოს მდგომარეობა, არამედ თავად აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისადმი მიმართვაცაა, რომ მათ გამოასწორონ ქვეყნის შიგნით არსებული მდგომარეობა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით.**

**ნინო ხარაძე**

◉ ცა ქუდად და დედამიწა ქალამნად...




# ნაციონალმა საკრებულოს თავმჯდომარემ შვილს სოფლის მიწა აჩუქა, მან კი ეგვიპტელზე გაყიდა

## როგორ იმალებიან ნაციონალები მათ მიერვე გაფუჭებული საქმის მერე

**წინა** ხელისუფლებას მიაჩნდა, რომ საქართველო მათია და ყველაფერს ჰყიდდა. ასე ეგონათ იერარქიულ კიბეზე დაბლა მდგომთაც — გუბერნატორებს, გამგებლებს, საკრებულოების თავმჯდომარეებსა და ა. შ.

სოფელ ვაქირის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის **ილია ხატიაშვილის** განცხადებით, 2003 წელს საკრებულოს ბალანსზე არსებული 8 ჰექტარი მიწიდან, მაშინდელმა საკრებულოს თავმჯდომარემ **ირინა ფხოველიშვილმა** ვაქირელებს სამოსახლოდ 3 ჰექტარი მიწა გადასცა. მაგრამ ცოტა ხანში საკრებულოს ახალმა თავმჯდომარემ **როლანდ დავითაშვილმა** მთელი 8 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თავის შვილს **იროდიონ დავითაშვილს** იჯარით მისცა. მალე უმცროსმა დავითაშვილმა ფიქტიურად ჩატარებული აუქციონით მიწა შეისყიდა.

**ჩემი რაც არის, რატომ მართმევენ, ხომ არ ვითხოვთ უნდა მომცეთ-თქო,** განუცხადეს ვაქირელებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს. მათივე განმარტებით საჭირო საბუთები სოფლის საბჭოში არსებობდა. თუ იქ არ არის, არქივში მაინც იქნება.

მაგრამ იროდიონ დავითაშვილი მხოლოდ მიწის ნაკვეთის შესყიდვით არ დაკმაყოფილებულა. 2013 წლის 10 ივნისის უძრავი ქონების ნასყიდობის სანოტარო ხელშეკრულების თანახმად საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის შვილმა 8 ჰექტარი მიწა მიჰყიდა შპს „რამბოს“ მფლობელს, ეგვიპტის მოქალაქეს **მამდოფ ზაქარია მანსიურს** 10 ათას აშშ დოლარად.

უცხოელი ვაქირელების გადმოცემით მათ იქ აღარ უშვებს. აპირებს ფერმა გააკეთოს და 5 სული ძროხა იყოლიოს. 5 სულ ძროხაზე 8 ჰექტარი მიწა რად უნდა — გაკვირვებას ვერ მალავენ ადგილობრივები კახეთის საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლებთან საუბრისას და ეჭვი აქვთ, რომ ეგვიპტელს რაღაც სხვა ზრახვები უნდა ჰქონდეს. ვაქირელები იმასაც ამბობენ, რომ სოფლის სასაფლაოზე აუტანელი მდგომარეობაა. მიცვალებულებს ერთმანეთზე ასაფლავებენ, იქნებ ეს ტერიტორია იმაში მაინც გამოვიყენოთო.

2013 წლის 14 აგვისტოს ვაქირელებმა სიღნაღის რაიონულ პროკურატურაში ერთობლივი განცხადება შეიტანეს. ისინი ითხოვდნენ აღნიშნული მიწის ნაკვეთის უკანონოდ გაყიდვის ფაქტის გამოძიებას. პროკურატურამ განცხადება სიღნაღის პოლიციის სამმართველოს გადაუგზავნა. საიდანაც სოფლის მაცხოვრებლებმა ასეთი პასუხი მიიღეს **„მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით, შედგენილ იქნა შესაბამისი გასაუბრების ოქმები, საიდანაც არ გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები“.**

დავითაშვილებთან დაკავშირებას ამაოდ ცდილობს კახეთის საინფორმაციო ცენტრი. თუმცა, ეს ხომ მათი ცხოვრების წესია. ნაციონალები ჯერ რამეს გააფუჭებდნენ, მერე იმალებოდნენ.

**ზაზა ბილიხოძე**

◉ საგადასახადო კოდექსი

# დაქვითულ „საშემოსავლოს“ დაგვიბრუნებენ, ოღონდ ნაწილობრივ

**ლაპარაკი საქართველოს საგადასახადო კოდექსის ავ-კარგზე, უფრო სწორად მის დაუხვეწაობასა და, ხშირად მეწარმეთა მიმართ აშკარად უსამართლო დებულებებზე, ფაქტობრივად, მისი შემოღებისთანავე დაიწყო. ბიზნესმენთა უკმაყოფილებასა და ზოგჯერ დაუფარავ აღშფოთებასაც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება გასულ წლებში, რომ იტყვიან, „ცალი ყურით“ კი უსმენდა, რის შედეგად კოდექსში ცვლილებები პერმანენტურად ხორციელდებოდა, მაგრამ ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების (და არა მისი „გამოწურვის“) ჭეშმარიტად ხელშემწყობი ფუძემდებლური დოკუმენტის საბოლოო სახით ჩამოყალიბებას საშველი არა და არ დაადგა. გარკვეული მუხლების სამართლიანობა-უსამართლობას, მართებულობა-არამართებულობას თავი რომ დავანებოთ, ყველა დონის მეწარმეთა უმთავრესი პრეტენზია მაინც საგადასახადო კოდექსის ენის ბუნდოვანებაა, რაც მისი გარკვეული დებულებების სხვადასხვანაირად წაკითხვის, შესაბამისად, ცალკლეულ პასუხისმგებელ პირთა მხრივ ერთნაირ პირობებში ერთი და იმავე საკითხისადმი განსხვავებული მიდგომის დაკანონებულ შესაძლებლობას იძლევა. ეს კი, დაგვეთანხმებით, სრულიად დაუშვებელია.**

შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთავრობის ეკონომიკურმა გუნდმა, კერძოდ კი ფინანსთა სამინისტრომ საგადასახადო კოდექსში შესატან ახალ ცვლილებათა პაკეტზე დაიწყო მუშაობა. კერძოდ, ლაპარაკია იმაზე, რომ **გაუქმდება კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად, ფინანსთა მინისტრს დოკუმენტის ცალკეული მუხლების განმარტებისა და საკუთარი შეხედულებების შესაბამისად ქვეყნის მთავრობისთვის მათი შეთანხმების უფლება აქვს მინიჭებული; ახალი რედაქციით ჩამოყალიბდება საგადასახადო შეთანხმებათა გაფორმების მექანიზმები; ყველა სხვა საგადასახადო შეთანხმება, გარდა საგადასახადო დავალიანების შემცირების შეთანხმებისა, გაუქმდება; დადგინდება დაუბეგრავი მინიმუმის დონე; დაზუსტდება, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას დაექვემდებარება ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა; ორგანიზაციებში შესამოწმებლად შესული საგადასახადო სამსახურის წარმომადგენლები მხოლოდ ბოლო სამის და არა უწინდელი დებულებით განსაზღვრული ექვსი წლის დოკუმენტაციას შეისწავლიან; ქვეყნის ტერიტორიაზე ერთი სახაზინო კოდი იმოქმედებს და სხვ.**

ესენია ის მთავარი სიახლეები, რომლებსაც, საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებათა ავტორების აზრით, ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა შეუძლიათ, თუმცა კი, ცალკეული მეწარმეები ზოგიერთ მათგანს ერთგვარი გულგრილობით უცქერენ, რადგან მათი შემოღება ბევრს არაფერს ცვლის. ამ შემთხვევაში, ვთქვათ, საქმე ეხება შესამოწმებელი საფინანსო დოკუმენტების ექვსი წლიდან სამ წლამდე ვადის შემცირებას, რაც კანონიერების დაცვით მოქმედი მეწარმე სუბიექტებისთვის არანაირ შეღავათს არ წარმოადგენს, თუმცა კი, თავისთავად, „შარის მოდების“ ალბათობას მნიშვნელოვნად ამცირებს.

გაცილებით პოზიტიურია მეწარმეთა დამოკიდებულება საგადასახადო დავალიანების შემცირების თაობაზე შეთანხმების გარდა ყველა სხვა სახეობის შეთანხმების გაუქმებისადმი. ამ შემთხვევაში ამ ტიპის შეთანხმება ყველა მეწარმე სუბიექტის მიმართ თანასწორი უფლებით განხორციელდება, რაც კონკურენტებს ერთნაირ პირობებში ამყოფებს და პოლიტიკური ლოიალობის ნიშნით რომელიმეს მიმართ ლობისტურ დამოკიდებულებას საფუძველს აცლის. ეს კი თავისუფალი კონკურენციის საბაზრო პრინციპის საფუძველს მნიშვნელოვნად გაამყარებს.

რაც შეეხება დაუბეგრავ მინიმუმს, რომელიც 6 ათას ლარზე ნაკლები წლიური შემოსავლის მქონე პირებს ეხება, ამ დებულებას უკვე კანონის ძალა აქვს. კანონის დებულებით პირს ამ შეღავათით სარგებლობის უფლება საგადასახადო წლის დასრულებიდან სამი თვის შემდეგ, ანუ გაისად 1 აპრილიდან შეეძლება.

ერთიანი სახაზინო კოდის შემოღების თაობაზეც რეაქცია დადებითია, თუმცა, მაინცდამაინც დიდ აღფრთოვანებას არ იწვევს, ვინაიდან არსებითად ბევრს არაფერს ცვლის.

მოკლედ, რამდენად „ამოისუნთქავს“ დიდი ბიზნესი საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებებით, ამას მომავალი გვაჩვენებს. ჯერჯერობით კი შეჭირვებული მოსახლეობისთვის ყველაზე კარგი სიახლეა დაბალი შემოსავლის მქონე პირთათვის დაუბეგრავი მინიმუმის დადგენა და, შესაბამისად, წლის მანძილზე ყოველთვიურად 20-პროცენტიანი დაქვითული თანხის ნაწილის უკან დაბრუნება. „არა უმეტეს 360 ლარისა“, ნათქვამია ამის თაობაზე კანონში. ამასთან, ძალიან საინტერესოა, თუ როგორ გამოიანგარიშეს ეს თანხა ლამის ოთხიათასიანი ყოველთვიური ხელფასის მიმღებმა ხალხის რჩეულებმა, „დღენიადაგ ამომრჩეველთა სამსახურში მყოფმა“ პარლამენტარებმა? ამ გადაწყვეტილებით ხომ ხელისუფლება, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ დაბალშემოსავლიანი ხალხის დაბეგვრა სოციალურად არასამართლიანია? თუ ეს ასეა, მაშინ გაუგებარია, მთლიანად დაქვითულ თანხას რატომ არ უბრუნებენ და გარკვეულ ლიმიტს რად უწესებენ?

**ოთარ ტურაბელიძე**



◉ კაკალ გულში

# წერტილოვანი ფრაზები

**● დოქტორ დოტი ველარ გაქაჩა და ხაჩიძე უკეთბს სერიოზულ მასაჟსო... (დიპლომი ქონია, აჩერედნოი).**

**● ეს ნაცები მთვარეულებივით რო ტოვებენ ფრაქციას, 24 ნოემბერს ოცნების ყრილობაზე ომახიანად შეუერთდებიან უმრავლესობის რიგებს?**

**● დღე არ გავა რამე კატასტროფა არ მოხდეს, ისე გადაკუზა რუსეთმა ცივილური, დავარცხნილი ევროპა, რომ ეს უკანასკნელი რუსეთის ინტერესებზე უფრო ზრუნავს, ვიდრე მეზობელ-მეგობრებზე და, საბოლოო ჯამში, საკუთარ თავზე! სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია.**

**● ნეტა ვისი რა გასარჩევია მარგველაშვილის სიყვარული?**

**● ეს ის საქართველო არაა, სადაც „საყვარელს“ არქმევენ არა მეუღლეს, ვისთან ცხოვრებაზეც ფიცს ერისა და ღვთის წინაშე თვალთმაქცურად დებენ, არამედ „გვერდით“ მოვლენას?**

**გაუმარჯოს ნამდვილ სიყვარულს!**

**● თუ ვინმე კიდევ ვერ მიხვდით, გიხსნით: ეგენი ყოველთვის ეგრე იწყებენ, ჯერ გაბოლებენ და თავს აგარჩევინებენ, მერე ინაუგურაციას აწყობენ, მერე არაკაცებს აღაზევებენ, თავიანთი ფანების სიყვარულით იმუხტებიან და გადადიან ჩვენს ცემაზე! თუ მიხოზე 2003-ში ვერ წარმოიდგენდით, რა მოხდებოდა, დღეს რატომ ხართ ასე „უვერენები“?!**

**● რა უცნაურია, ნაცების ყბაში ჩავარდნილი გმირებიც კი უფერულდებიან, ანწუხელიძის გაგონებაც აღარ მინდა, ჩემი ბრალია?**

**თქვენ რა გჭირთ? ნაცების ყბაში ჩავარდნილის გაუფასურების სინდრომი?**

**● ვკითხულობ ჟურნალისტების პოსტებს, სააკაშვილის დასასრულთან დაკავშირებით. ზოგი ხარობს, რომ დიდი ბოროტება წარსულს ჩაბარდა და ეს სრულიად ჯანსაღი განცდაა...ზოგიც „ამაყად“ ტირის, — შეცდომები კი ჰქონდა, მაგრამ ვამაყობთ, რომ ჩვენი პრეზიდენტი იყოო. როგორ მიკვირს ამ ხალხის... გულწრფელად მიკვირს...**

**ჟურნალისტი იმას რომ ვერ დაინახავს და ვერ იგრძნობს, რაც 9 წლის მანძილზე ამ საბრალო ქვეყანაში ხდებოდა, საცემი არ არის?!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს ექსპრეზიდენტი სააკაშვილი სექს-სკანდალების ქრონიკაში მოხვდა

**პირველსავე დღეს მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის თანამდებობას დაემატა სიტყვა „ექსი", იგი გახდა საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჟონილი სკანდალური სექსუალური ისტორიების ფიგურანტი. პოპულარულმა ყოველკვირეულმა „კვირის ქრონიკამ" გამოაქვეყნა ნაკრები „პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომლის" მითითებით, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.**

მიმომხილველმა ხათუნა ელბაქიძემ, რომელმაც მოამზადა მასალა, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ეს წყარო ნდობით სარგებლობს და ანალოგიური შინაარსის სტატიები გამოქვეყნდება მომავალშიც. ამავე დროს არ არის გამორიცხული, რომ წყარომ თავისი თავიც გამოამჟღავნოს, მოხსნას საიდუმლოება.



გამოცემა აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც ადრე არ ექვემდებარეობდნენ გახმაურებას, მაგრამ ამავე დროს, შეგვახსენებს პრესაში უკვე გამოქვეყნებულ ისტორიებს საქართველოს ყოფილი მაღალი რანგის ჩინოვნიკების ორგიების შესახებ. კერძოდ, „კვირის ქრონიკის" მტკიცებით, ყოფილ ხელისუფლებას, თითქოსდა სპეციალური ანგარიში ჰქონდა, რომელიც გამოიყენებოდა სააკაშვილისა და მისი ნდობით აღჭურვილი გარემოცვის გართობისთვის. სახსრები შემოდიოდა წნეხის ქვეშ აღმოჩენილი ბიზნესმენების შემონატანებიდან. შემოსულ თანხებსა და მათ ხარჯებზე თითქოსდა კონტროლს ახორციელებდა ამჟამად პატიმრობაში მყოფი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი.

მაგალითად, 2008 წლის ნოემბერში ამ შემოსავლების ანგარიშით გაანაღდეს თბილისში მაშინდელი ლიდერის „გამოძახებით" ჩამოსული კონკურსის „მის უკრაინის" ორი მონაწილის ვიზიტი. 2009 წლის სექტემბერში სააკაშვილი თბილისის ამჟამინდელ მერ გიორგი უგულავასთან და შინაგან საქმეთა ექსმინისტრ ბაჩანა ახალაიასთან ერთად ერთობოდნენ ლონდონში. გაზეთის წყაროს მონაცემებით, ინტიმური მომსახურების ანაზღაურებამ 10 ათასი დოლარი შეადგინა. უშუალო ანგარიშსწორებას ახორციელებდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, რომლებსაც ამისთვის სპეციალურად რთავდნენ დელეგაციების შემადგენლობაში.

მომდევნო ორმა ეპიზოდმა უკვე გაჟონა პრესის ფურცლებზე, მათ შორის საერთაშორისო პრესის ფურცლებზეც. შარშან იანვრის ბოლოს საქართველოს დელეგაცია სააკაშვილის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა ვაშინგტონში და თითქოსდა სასტუმროში გამოძახებული იყვნენ სულ ცოტა სიყვარულის ათი ქურუმი, რისი მოწმეებიც გახდნენ იქ მყოფი იტალიელი პარლამენტარები. მაგრამ ყველაზე გახმაურებული სკანდალი მოხდა ნატოს სამიტზე ლისაბონში 2010 წლის ნოემბერში. ერთ-ერთ სასტუმროში საქართველოს დელეგაციის წევრებმა (დელეგაციას სათავეში სააკაშვილი ედგა), პორტუგალიური პრესის მონაცემებით, ბიუჯეტის ხარჯზე მიიწვიეს 80 ადგილობრივი მეძავი. ქართველებმა შესთავაზეს, სადღესასწაულოდ აღენიშნათ ნატოს ფორუმის დამთავრება თავიანთ სომეხ კოლეგებსაც. ორგია პირადად ჩაშალა საფრანგეთის მაშინდელმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ, რომელიც იმავე სასტუმროში შეჩერდა. სწორედ მისი საჩივრების შემდეგ გამოიძახეს პოლიცია. მიუხედავად ამისა, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მაშინ გვარწმუნებდა რომ არანაირ სკანდალს ადგილი არ ჰქონია.

ამჟამად მმართველი კოალიცია ვარაუდობს, რომ ამგვარ სკანდალებს უნდა მოვეპყრათ არა როგორც კერძოს. „ქართული ოცნება" დაგვპირდა, დაამყაროს მკაცრი კონტროლი ჩინოვნიკების ხარჯებზე...

საქართველოს პარლამენტის დეპუტატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" შოთა მალაშხია ჩვენს გაზეთთან საუბარში აღნიშნავს, რომ „მოსალოდნელიც იყო პრეზიდენტისა და მისი პარტიის წინააღმდეგ აგორებული შავი ტალღა".

— ეს ხომ იმოქმედებს, — დარწმუნებულია დეპუტატი. — არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უბრალოდ არ არის ლამაზი. ვერ მოასწრო სააკაშვილმა გამხდარიყო ექსპრეზიდენტი, რომ უკვე დაიწყეს მისი ბინძური თეთრეულის ქექვა. არამედ იმიტომაც, რომ ეს არ არის სიმართლე. დეტალებშიც კი. მაგალითად, ჩემი გვარი ნახსენებია „სახელმწიფო ანგარიშზე გართობაში მყოფთა შორის" იმ საღამოებზე საზღვარგარეთ. თუმცა, მე არ ვყოფილვარ არც ლისაბონში, არც ვაშინგტონში.

საქართველოს ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ ჩვენს გაზეთთან საუბარში განაცხადა, რომ „სჯერა ამ ცნობებისა, თავად სააკაშვილის ხასიათიდან გამომდინარე".

— ასეთი ფსიქიკა აქვს მას, — თქვა სიგუამ. — არც ერთი საქართველოს სხვა პრეზიდენტებიდან — არც გამსახურდია, არც შევარდნაძე, არც მარგველაშვილი — ნებას არ აძლევდნენ და არც ახლა აძლევენ თავს. მაგრამ სახელმწიფო არ უნდა შემოიფარგლოს მორალური კატეგორიებით: „ნება მიეცეს — არ მიეცეს". საჭიროა სერიოზული კონტროლი ყოველგვარ ხარჯებზე. უკვე რომ აღარაფერი ვთქვათ იმის შესახებ, რომ ყოველივე მსგავსი რამ მნიშვნელოვან ზიანს აყენებდა მთელი ჩვენი ქვეყნის იმიჯს.

რესპუბლიკელმა დეპუტატმა „ქართული ოცნებიდან" გიგლა აგულაშვილმა ჩვენს გაზეთს განუცხადა, რომ „დამოკიდებულება ბიუჯეტის ყველა ხარჯისადმი იქნება პრიორიტეტული, ვინაიდან თვალსაჩინოდ წარმოადგენს, თუ როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ ჩვენ".

აგულაშვილმა განაცხადა, რომ ცვლილებანი უკეთესობისკენ საქართველოში გამოიხატება იმითაც, რომ მისი ბიუჯეტი გამჭვირვალე გახდება.

ИЗВЕСТИЯ

# თბილისი გადაიტვირთა

## საქართველოში შეიცვალა კონსტიტუცია, პრეზიდენტი, მთავრობა, რიგში – პარლამენტია

**საქართველომ მიიღო არა მხოლოდ ახალი პრეზიდენტი, არამედ ახალი კონსტიტუციაც, მთავრობაც რომლის შემადგენლობასაც და მეთაურსაც — ეს კი იქნება შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ღარიბაშვილი — დაამტკიცებს პარლამენტი. ძირითადი კანონის თანახმად, ცვლილებები მოხდა პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ ფიცის დადების დროს. ინაუგურაციამ დაგვანახვა. საქართველოს გადასვლა მმართველობის შერეულ ფორმაზე — ეს იქნება სახელმწიფოს მართვის ნახევრად საპრეზიდენტო და ნახევრად საპარლამენტო მოდელი.**

ცვლილებები კონსტიტუციაში, რომლებიც განსაზღვრავენ უფლებამოსილებათა გადანაწილებას პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრისკენ, შეიტანა 2010 წელს წინა პარლამენტმა. მისი უმრავლესობა, რომელიც შედგებოდა პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებისგან, საკონსტიტუციო ცვლილებების აუცილებლობას განმარტავდა იმით, რომ მიუთითებდა დასავლეთის ინსტიტუტებისა და პარტნიორი ქვეყნების რეკომენდაციებით საქართველოს დემოკრატიზაციის შემდგომი განვითარების მიზნით. მაგრამ საზოგადოებაში და ოპოზიციაში საფუძვლიანად ეჭვობდნენ, რომ რეკომენდაციები რეკომენდაციად, მაგრამ სინამდვილეში „ნაციონალებმა" შექმნეს სქემა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მართვის გაგრძელების მიზნით.

კონსტიტუციის თანახმად, სააკაშვილს, რომელსაც უახლოვდებოდა მეორე საპრეზიდენტო ვადის დამთავრება, მესამედ ამ პოსტზე კენჭისყრა უკვე აღარ შეეძლო. მაგრამ მას არაფერი უშლიდა ხელს, გაეგრძელებინა საქართველოს მართვა პრემიერ-მინისტრის თანამდებობით. მიუხედავად ოპოზიციის პროტესტებისა, ცვლილებები „ნაციონალებმა" იოლად შეიტანეს. საჭირო იყო მხოლოდ 2012 წლის 1 ოქტომბრის პარლამენტის არჩევნების მოგება, ახალი მთავრობის წარდგენა და დამტკიცება, ერთი წლის შემდეგ კი შეიძლებოდა პრეზიდენტის არჩევნები, რომელსაც კვლავ თავისი პრეზიდენტი სააკაშვილი ჩაუდგებოდა. სქემამ ვერ იმუშავა. პარლამენტის არჩევნები მოიგო ოპოზიციურმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ", რომელიც დაფუძნებული იყო მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის მიერ და, მოფიქრებული კომბინაცია სააკაშვილისთვის ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით, ვერ ამუშავდა.

ამრიგად, ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრეზიდენტი ისარგებლებს არსებითად შეზღუდული უფლებამოსილებით, რომლებიც იფარგლება 2010 წელს მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებით.

ამჟამად პრემიერ-მინისტრის ნებართვის გარეშე პრეზიდენტს არ შეუძლია გამოაცხადოს, გააუქმოს ან გაახანგრძლივოს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი, არ შეუძლია დანიშნოს არჩევნები, არ შეუძლია, გარკვეული ტიპის შეთანხმებათა ხელმოწერა, მთავრობის ხელმძღვანელის ხელმოწერა მას დასჭირდება საკონსტიტუციო შეთანხმებებისთვისაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან და განსაკუთრებულ შემთხვევებშიც... პრეზიდენტი ვალდებულია, შეუთანხმოს პრემიერს საკითხები გენერალური შტაბისა და სხვა სამხედრო სტრუქტურების დანიშვნისა და გადაყენების შესახებ და სხვა ცვლილებები.

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომელიც მრჩევლად მუშაობდა ედუარდ შევარდნაძესთან და მიხეილ სააკაშვილის მმართველობის დასაწყისშიც, ვარაუდობს, რომ მალე შეიძლება გაიმართოს ვადამდელი არჩევნები პარლამენტში, რის შესახებაც პერიოდულად საუბრობენ საპარლამენტო უმრავლესობა, აგრეთვე პარლამენტგარეშე ოპოზიციაც. მათი მიზნები გამჭვირვალეა: არ დაელოდონ მორიგ არჩევნებს, რომლებიც, კონსტიტუციით, 2016 წელს უნდა გაიმართოს. ალიანსს სურს, ჰყავდეს პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობაც, პოლიტიკოსებს კი, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად ბორტსმიღმა აღმოჩნდნენ, სურთ, კიდევ ერთხელ სცადონ ბედი და რაც შეიძლება მალე.

„ობიექტურად რომ ვილაპარაკოთ, პარლამენტის ვადამდელი არჩევნები სასურველი იქნებოდა", — მიაჩნია საყვარელიძეს. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი არჩევნები იყო პერსონიფიცირებული — საზოგადოების ნაწილი, რომელიც ხმას აძლევდა „ქართულ ოცნებას", არსებითად ხმას აძლევდა ბიძინა ივანიშვილს, მეორე ნაწილი კი, რომელიც ბიულეტენებში აღნიშნული იყო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სახელით, ხმას მიხეილ სააკაშვილს აძლევდა.

„ახლა ეს ორი პოლიტიკური ლიდერი უკვე აღარ არის. სააკაშვილი წავიდა ხელისუფლებიდან კანონით, ივანიშვილი კი — საკუთარი სურვილით", — ამბობს საყვარელიძე. მისი აზრით, ამ ახალ რეალიებში სამართლიანი იქნებოდა გამართულიყო ვადამდელი არჩევნები, რომ მოსახლეობას ჰქონოდა შესაძლებლობა, ხმა მიეცა არამკაცრად პოლარიზებულ დაძაბულ ვითარებაში, როგორც ეს 2012 წლის ოქტომბერში იყო, და იცოდნენ, რომ სხვა ძალებს შანსები არ გააჩნიათ. თუ მიღწეული იქნება გადაწყვეტილება ვადამდელი არჩევნების შესახებ, შესაძლებელია, რომ საქარველო, მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება" რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაციის კოალიციაა, მიიღებს რეალურად მრავალპარტიულ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

НЕЗАВИСИМАЯ

## დედამიწის ზურგზე



**ავსტრალიელი რადისტის ოჯახი თავისი მთავრობისგან რუსეთზე ზემოქმედებას მოითხოვს**

**პეტერბურგის საზღვრისპირა რაიონის სასამართლომ სამი თვით გაუგრძელა პატიმრობა კოინ რასელს, მაშინ, როდესაც სამი რუსეთელი — ფოტოგრაფი, ექიმი და „გრინარპის" პრესმდივანი გათავისუფლდნენ გირაოთი. ავსტრალიაში გმობენ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ჯული ბიშოკის უმოქმედობას.**

* * *

**ოქსფორდის ლექსიკონის ვერსიით 2013 წლის სიტყვად გახდა ტერმინი, რომელიც სმარტფონით გადაღებულ ავტოპორტრეტს აღნიშნავს**



**ამ ტერმინის ყველაზე ადრე ხსენება 2012 წელს განეკუთვნება. მაგრამ ფართო მოხმარებაში იგი შემოვიდა ციფრული ფოტოგრაფიის გავრცელებასთან ერთად. 2013 წელს სიტყვის გამოყენება 17 ათასი პროცენტით გაიზარდა, დაიანგარიშეს ლინგვისტებმა. „წლის სიტყვის" წოდებაზე ტერმინის მეტოქე გახდა ვირტუალური ვალუტის მნიშვნელობა და ეროტიკული ცეკვის თავისებური სტილის დასახელება.**

* * *

**პან გი მუნმა ლატვიისა და ესტონეთის ლიდერებთან შეხვედრაზე არამოქალაქეთა ტერმინი წამოსწია**



**ამის შესახებ განაცხადა გაეროს გენერალური მდივნის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. თავად პან გი მუნმა, სხვათა შორის, ბალტიისპირეთში მოგზაურობის დროს მაინც არ გამოავლინა თავისი პოზიცია ამ სიტუაციასთან დაკავშირებით ბალტიისპირეთის სახელმწიფოებში, სადაც „არამოქალაქეთა" რიცხვი მოსახლეობის რაოდენობის 5 პროცენტს აჭარბებს.**

* * *

**იასირ არაფატის ქვრივმა თავისი ქმრის სავარაუდო მომწამვლელი დაასახელა – მან პოლონიუმი მის ქმარს წვნიან კერძში ჩაუდო**

**სუხი არაფატის სიტყვებით, მისი მეუღლე 2004 წლის 12 ოქტომბერს მოწამლეს, ერთი თვის შემდეგ კი პალესტინის ლიდერი პარიზის ჰოსპიტალში გარდაიცვალა. სახელების დაუსახელებლად ქვრივმა განაცხადა, რომ შხამის ჩადება შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, ვინც ლიდერთან „ძალიან ახლოს" იყო. პალესტინის ხელისუფლების ამჟამინდელი წარმომადგენლისგან განსხვავებით, მან თავი შეიკავა ბრალდებისგან ისრაელის მისამართით.**



მკითხველის პირისპირ

# ვერისუბანში დადის პოეტი...

პოეტებს სეირნობა უხდებათ... **ემზარ კვიტაიშვილი** სულ საქმიანია, სულ საოჯახო, ან, სულ წიგნების ჩანთით მოარული... ცხოვრებამ იმდენი ძირმწარე აგემა, ზოგი, მის ადგილას, ხელს ჩაიქნევდა... იგი, მაინც იმედიანადაა... კასკასა იუმორის გრძნობაც შერჩა და, რაც მთავარია, ნაღდ პოეზიასთან წილნაყარი ლექსების თხზვის უნარიც...

ემზარ კვიტაიშვილი — ჩვენი ძვირფასი უფროსი ძმა და მეგობარი, ნაღდი პოეტი, მართლაც რომ **„შემოდგომის ხიზანი“,** როგორც ეს თავისი ახლახან გამოსული ლექსების კრებულისთვის დაურქმევია... რას ვიზამთ, მისი თაობის სიტყვის ოსტატი თითო-ოროლაღა თუ შემორჩა ჩვენს გვერდით.

— თითქმის თხუთმეტი წელია გასული, — **მიამბობს ემზარი,** — ლექსების წიგნი არ გამომიცია, თუმცა, წერით განუწყვეტლივ ვწერდი და გამოსაცემი საკმარისზე მეტი დამიგროვდა, ვბეჭდავდი ჟურნალ-გაზეთებში, თუმცა ცალკე წიგნად გამოცემა, მოგეხსენებათ, დღეს ძალიან გაძნელებულია და მეც არავინ შემიწუხებია... და, აი, დიდი პატივი დამდო გამომცემლობა **„ბაკმის“** ხელმძღვანელობამ, როგორც ხედავთ, კარგა ხნის შემდეგ ჩემმა წიგნმაც იხილა დღის სინათლე...




— შესანიშნავად გამოუციათ... პირში არ გეფერები — ლექსებიც მრავალფეროვანია, ფიქრიანი, აზრითა და გრძნობით სავსე... ბევრგან, სევდაა...

— დალხინებული ცხოვრება ნამდვილად არ მქონია... ჩემს განცდებს, უპირატესად, ლექსის ფორმას ვუფარდებ და მოულოდნელი არ იქნება ასეთი ნააზრევი ერთგვარ დღიურებადაც აღიქმებოდეს. ვლამობდი, სიტყვიერ გარსში მომექცია ყველაფერი, რამაც ჩემზე იმოქმედა, რასაც გულგრილი არ დავუტოვებივარ. განსაკუთრებით ხშირად ვნატრობ ბავშვობის წლებს და ადრეულ სიყმაწვილეს...

— რა გასაკვირია... აი, რა ზუსტად ამბობ ერთგან:

**დაცხრი, ყრმობის მორცხვობისგან**
**ველარ შეიფარკლები,**
**ოცნებამ, ცად დაკიდულმა, გული დაკლა, დაკოდა...**
**როგორ გნუსხავს თოჯინები, სათამაშო**
**სახლები,**
**ველარ გახდი თანატოლი — ბავშვთა,**
**უასაკოთა.**
**გუშინ იყო — ვიტრინაში ზღაპარივით**
**მაკეტი;**
**წაბლის ოდა, აივანი, კიბე... რა ეზო-კარი!**
**იქ რომ ღამე გაგეთია, ნატვრა აგყვა აგეთი...**
**ძლივს დაშორდი, გესიზმრება, რასაც თვალი**
**მოკარი!**

— ასეთი ხომ ბლომადაა კრებულში, ემზარ!

— იცოცხლე!.. რა ჯობს, თუ ეგრეა... კიდევ გეუბნები, რა ხანია წიგნი აღარ გამომიცია!

— ჰოდა, „მალარიჩი“ შენზეა!

— არ ჩავიჭრები!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

ჩვენებურები




# „ოროველა“ და „შეფ-მზარეულის მწვანე ქუდი“ ღვინის ფესტივალზე

ნიუ ჯერსის ღვინის ფესტივალზე, რომელიც ქალაქ შორთ ჰილში სასტუმრო „ჰილტონში“ გაიმართა, სხვა უამრავ კომპანიას შორის, მიწვეული იყო ორი ისეთიც, რომლებსაც ქართველები ხელმძღვანელობენ. რიგით მერვე ფესტივალზე წარდგენილი იყო ქართული ღვინის კომპანია **„ოროველა“** (ბიზნეს-განვითარების დირექტორი **ნინო რაზმაძე**) და ამერიკული კომპანია Toque Verte, რაც ფრანგულად „შეფ-მზარეულის მწვანე ქუდს“ ნიშნავს (პრეზიდენტი **თამარ მახარაძე**). ეს ორი კომპანია ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობს და არაერთი ერთობლივი სამომავლო გეგმა აქვს.

ნიუ ჯერსის ფესტივალზე ოროველას „მწვანე რქაწითელმა დეგუსტატორების ხუთქულიანი სისტემიდან ხუთივე ქულა დაიმსახურა და ფესტივალზე, სადაც მსოფლიოს 150-ე მეტი რჩეული ღვინო იყო წარდგენილი, სპეციალური სისტემის რეიტინგით მეხუთე ადგილი დაიკავა. „ოროველას“ წარმომადგენლის ნინო რაზმაძის თქმით, ჯერჯერობით ამერიკაში ქართული ღვინოების, ასე ვთქვათ, არ სჯერათ და ამიტომაც ბრენდის სტაბილური დამკვიდრებისთვის აუცილებელია ძალიან ბევრი მუშაობა. ბუნებრივია, ამ ფესტივალზე „ოროველას“ წარდგინება ზოგადად ამერიკულ ბაზარზე ღირსეულად წარმოჩინების კარგი შანსია. გაისად თებერვალში კომპანია კვლავ გეგმავს ნიუ ჯერსიში გამართულ ფესტივალზე გამგზავრებას, სამომავლო პერსპექტივაში კი კალიფორნიის ბაზრის ათვისებასაც ისახავს.

**Toque Verte** 2013 წლის დასაწყისში დაფუძნდა და მის „სივი“-ში არაერთი ღონისძიების კულინარიული გაფორმებაა. კომპანიის ხელმძღვანელის თამარ მახარაძის თქმით, „შეფ-მზარეულის მწვანე ქუდის“ მთავარი მიზანია ინოვაციური, ჯანმრთელი, გასტრონომიული სამზარეულოს შექმნა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ხარისხიან პროდუქტს, გემრიელ კერძებს, არამედ ღონისძიებაზე თუ პრეზენტაციაზე კერძების ვიზუალური მხარის საინტერესოობასაც. კომპანია სურვილისამებრ ქართულ კერძებსაც ამზადებს, თუმცა, ქართული კერძების კლიენტურა არც ისე ხშირია. კერძები კი, როგორც წესი, ევროპულ-ამერიკულია. ხუთ კვირაში კი კომპანიას ახალ მისამართზე, მანჰეტენის ცენტრში ვიხილავთ, სადაც ასევე დიდი პრეზენტაცია ექნებათ და, რასაკვირველია, „ოროველას“ ღვინოც.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ იორკი, აშშ**




ალიან-ჩალიანი

### გამოფენა კათოლიკოს-პატრიარქს მიეძღვნება

საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში ხვალ კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრიდან აცნობეს, ცენტრის დარბაზში გაიხსნება დეკანოზ ანდრია ნაცვლიშვილის პერსონალური გამოფენა, რომელიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, ილია II- ს ეძღვნება.

გამოფენაზე ფერწერასა და გრაფიკაში შესრულებული 80 ნამუშევარი იქნება წარმოდგენილი და 24 ნოემბრამდე გაგრძელდება.

### საქართველოში ქარის სადგურები აშენდება

ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატმა კახი კალაძემ პარლამენტში პროგრამის წარდგენის დროს განაცხადა. როგორც პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე კალაძემ აღნიშნა, საქართველოში ქარის სადგურების პროექტზე მუშაობა დაწყებულია და უახლოეს თვეებში პროექტის განხორციელება და მშენებლობა დაიწყება.

ენერგეტიკის მინისტრობის კანდიდატის ინფორმაციით, დამონტაჟებულია ანძა, რომელზეც სპეციალური ინსტრუმენტებია დაყენებული, რომელიც ქარის სიმძლავრესთან დაკავშირებით ზუსტ მონაცემებს გასცემს. — ეს საქართველოში 20 მგ სიმძლავრის ქარის სადგურების პირველი პროექტი იქნება, თუმცა, ადგილზე 150 მგ დამატებითი სიმძლავრის ქარის სადგურის აშენების შესაძლებლობა და პერსპექტივა არის, — აღნიშნა კალაძემ. ამასთან, მისივე თქმით, მისი პრიორიტეტია ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენება.

— სამწუხაროდ, საქართველო 75%-ით არის დამოკიდებული უცხოურ ენერგომატარებლებზე, განსაკუთრებით აზერბაიჯანსა და რუსეთზე, თუმცა, საქართველოს ნამდვილად გააჩნია იმის შესაძლებლობა და იმის რესურსი, რომ ჩვენ უახლოეს მომავალში ენერგოდამოუკიდებლები ვიყოთ და ეს რესურსები რაციონალურად იქნება გამოყენებული, — დასძინა კახი კალაძემ.

ინტერპრესი

ალიან-ჩალიანი

### 26 მაისის საქმეზე ნინო ბურჯანაძეს დაკითხავენ



26 მაისის საქმეზე მიმდინარე სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარის დასაკითხ პირთა შორის არის ნინო ბურჯანაძე. ბრალდების მხარის დასაკითხ პირთა შორის ასევე არიან ნონა გაფრინდაშვილი და „სახალხო კრების“ სხვა ლიდერები ირაკლი ბათიაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი, შალვა ოგბაიძე, ასევე კახა კუკავა და თემურ შაშიაშვიალი. ამის შესახებ ცნობილი გახდა ვანო მერაბიშვილის ამ საქმესთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე.

დასაკითხ პირთა შორის არიან რამდენიმე ჟურნალისტი, ასევე შს მინისტრის ყოფილი მოადგილე შალვა ჯანაშვილი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი თავმჯდომარე გოგა გრიგალაშვილი.

ამასთან, ბრალდების მხარის მტკიცებულებათა შორის მოხვდა სხვადასხვა ტელეკომპანიიდან ამოღებული ვიდეომასალაც.

### საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტო შეიქმნება

ამის შესახებ პარლამენტში ეკონომიკის მინისტრობის კანდიდატმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა. როგორც რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე მინისტრობის კანდიდატმა აღნიშნა, ქვეყანაში ნომერ პირველი პრიორიტეტი დღეს მეწარმეობის განვითარება და დამწყები ბიზნესის დაფინანსების მექანიზმების შექმნაა.

— ამისთვის ჩვენ ვგეგმავთ, რომ მეწარმეობის გარდა, მცირე ბიზნესის განვითარების სააგენტო შევქმნათ, რომელიც ამავე დროს ხელს შეუწყობს საექსპორტო წარმოების განვითარებას, — აღნიშნა კვირიკაშვილმა. მისივე თქმით, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია ასევე სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს შექმნა.

ამ მიმართულებით, როგორც მან აღნიშნა, რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის დანერგვა იგეგმება, ანუ ნებისმიერი ეკონომიკური საკანონმდებლო ინიციატივა თუ ნორმატიული ინიციატივა, რომელმაც შეიძლება სამეწარმეო გარემოზე გავლენა იქონიოს, მისი რაოდენობრივი ეფექტი წინასწარ უნდა იყოს შეფასებული.

### ციხეებში C ჰეპატიტის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება

საპარლამენტო კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე სასჯელაღსრულების მინისტრობის კანდიდატმა სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ქალთა დაწესებულებაში C ჰეპატიტის მატარებელი 17% აღმოჩნდა, ხოლო პატიმართა კიდევ ერთ ჯგუფში, რომელსაც მინისტრობის კანდიდატი არ ასახელებს, ვირუსის მატარებელი 50%-ზე მეტი პატიმარია დაფიქსირებული.

სასჯელაღსრულების სამინისტრო, სუბარის განცხადებით, ციხეებში C ჰეპატიტის უფასო მკურნალობას იწყებს.

— C ჰეპატიტთან დაკავშირებით, პროგრამა შემუშავებულია, სკრინინგი დაწყებულია რამდენიმე ჯგუფში. ტენდერი ბოლოშია გასული, ტექნიკური დეტალები დარჩა დასასრულებელი. მე დარწმუნებული ვარს, რომ თვის ბოლომდე ტენდერი დასრულდება და C ჰეპატიტის



სამკურნალო წამლის ფასი იქნება მინიმუმ სამჯერ ნაკლები იმაზე, რაც იყო. ტენდერში მიბმული იყო ვალდებულება — გარდა იმისა, რომ ათას პატიმარ პაციენტზე ჩვენ ვყიდულობთ შედარებით დაბალ ფასად წამალს, კომპანიამ იმავე ფასად უნდა გაყიდოს სამოქალაქო სექტორისთვისაც წამალი. ეს ნიშნავს, რომ სამოქალაქო სექტორშიც დაახლოებით 70%-ით გაიაფდება C ჰეპატიტის სამკურნალო წამალი, — განაცხადა სუბარმა.

მისი თქმით, საქართველო შედის იმ ქვეყნების რიცხვში, სადაც ყველაზე ძვირი ღირს აღნიშნული წამალი და მისი ღირებულება 235-260 დოლარამდეა.

ინტერპრესი

# ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი № 1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება.<br>გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგი და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეებს არ შეუზღუდოს გადაადგილების უფლება ლიცენზიით გათვალისწინებულ ტერიტორიაზე.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია, „ოფურჩხეთის" ტუფიტის (მოსაპირკეთებელი) საბადო (კატეგორია - $A+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 101 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 38 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3 811,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 7 824 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 10 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს სამთო საქმის წარმოებისათვის მიღებული ნორმებისა და წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) კარსტული სიცარიელეების გახსნის შემთხვევაში უნდა შეწყდეს მოპოვებითი სამუშაოები, მანამ, სანამ არ დაზუსტდება სიცარიელეების პარამეტრები და აქედან გამომდინარე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა.<br>დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება.<br>ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნაგარევის მიმდებარე ტერიტორია, „ნაგარევის" კირქვის (სამშენებლო მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 48 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თერჯოლის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ნაგარევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი № 3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია, „ოფურჩხეთის" ტუფიტის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (I და II უბანი) ჯამური მოცულობა - 190 500 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 20 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №4 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ალაზანზე „ქვემო ალვანის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $B+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის (I, II და III უბანი) ჯამური მოცულობა - 19 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ახმეტის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ქვემო ალვანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 121 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 312,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 | 824 ლარი |

| | | |
|---|---|---|
| | ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №5** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზარდნალას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ცხენისწყალზე „ცაგერის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $B+C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 89 700 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ცაგერის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ზარდნალას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 12 028 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 202,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 606 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №6** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია, მდ. ოჩხომურზე „ოჩხომურის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის (I, II, III და IV უბანი) ჯამური მოცულობა - 69 300 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ლესიჭინეს მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 9 893 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 989,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 179 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს |

| | | |
|---|---|---|
| | თარიღი | დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 4 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №7** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ჭალისუბნის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 120 300 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხაშურის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ხცისის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 16 131 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 613,1 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 3 426 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №8** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გორის მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვარზე „ხიდისთავის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 12 900 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გორის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 243 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 224,3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 649 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 1 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №9** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |

| | | |
|---|---|---|
| გამცემი ორგანოს დასახელება | | |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურების ფუნქციონირებას და არ უნდა დაზიანდეს ანძებთან მისასვლელი გზა.<br>ე) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, დაიცვას შპს „ჯეოსელის" 2013 წლის 18 ოქტომბრის 2/320-13, შპს „მაქთიკომის" 2013 წლის 09 ოქტომბრის №13/189 და სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს 2013 წლის 21 ოქტომბრის №1581/148-13 წერილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია, „კატაულას" კირქვის (საცემენტე) საბადო (კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 37 200 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 2 444 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 244,4 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 689 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 |
| | მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №10** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით;<br>ბ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამოირიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება;<br>გ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოების ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით;<br>დ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებამ ხელი არ უნდა შეუშალოს მობილური კავშირგაბმულობის საბაზო სადგურების ფუნქციონირებას და არ უნდა დაზიანდეს ანძებთან მისასვლელი გზა.<br>ე) აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, დაიცვას შპს „ჯეოსელის" 2013 წლის 18 ოქტომბრის 2/320-13, შპს „მაქთიკომის" 2013 წლის 09 ოქტომბრის №13/189 და სს „ენერგო-პრო ჯორჯია"-ს 2013 წლის 21 ოქტომბრის №1581/148-13 წერილებით გათვალისწინებული მოთხოვნები;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია, „კავთისხევის" კირქვის (საცემენტე) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 68 200 ტონა). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | კასპის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. კავთისხევის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 000 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 000 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 200 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №11** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს საფეხურებრივად, მაღალი ჰიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალისაკენ, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების წესების დაცვით.<br>ბ) ობიექტის დამუშავებისას მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>გ) აკრძალულია ფუჭი ქანის ჩაყრა მდ. იზვარას კალაპოტში.<br>დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს |
| | | გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფ. სავანის მიმდებარე ტერიტორია, „სავანის" კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 800 $მ^3$). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საჩხერის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. სავანის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 187 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 118,7 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 150 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| **ობიექტი №12** | | |
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის | ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. ახალი ხიბულას მიმდებარე |

| | | |
|---|---|---|
| | კონკრეტული ობიექტი | ტერიტორია, მდ. ჭანისწყალზე „ახალი ხიბულას" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 87 600 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ხობის მუნიციპალიტეტი,<br>სოფ. ახალი ხიბულას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 11 746 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 174,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 549 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №13** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, |
| | | შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უზრუნველყოს ჭაბურღილის გარშემო 1,5 მეტრის დიამეტრით ბეტონის დასხმა და ტერიტორიის დასუფთავება;<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით);<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცეზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 18 000 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ბაკურიანი |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 582 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 58,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 316 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №14** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 35 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაცია. |
| | | ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_1$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 250 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ყვარლის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 0,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 201 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 20 ნოემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 20 დეკემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**კარატე**

# მედლების სრული კომპლექტით




**ევროპის 22 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა რუმინეთის ქალაქ ორადეაში გამართულ ახალგაზრდა კარატისტთა ევროპის პირველობაში.** მოასპარეზეთა შორის იყო საქართველოს 22-წლამდელ სპორტსმენთა შვიდკაციანი ნაკრები (დელეგაციის ხელმძღვანელი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსი, კარატეში საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ-ინსტრუქტორი ირაკლი დოლაბერიძე), რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.



- 65კგ. წონითი კატეგორიის ფინალურ პაექრობაში ერთმანეთის პირისპირ საქართველოს ნაკრების წევრები – ანდრეი ზინჩენკო და სერგო მოვსესიანი წარსდგნენ. მინიმალური უპირატესობით ზინჩენკომ გაიმარჯვა და ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. -80კგ. წონით კატეგორიაში მესამე ადგილი ლაშა ოზბეთელაშვილმა დაიკავა. ამდენად, საქართველოს ნაკრები სამშობლოში მედლების სრული კომპლექტით დაბრუნდა.

**ლაშა დიდია**

**ძიუდო**

# თბილისში – გაისად, 21-23 მარტს

**ამას წინათ საქართველოს დედაქალაქში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი. მისი სტუმრობისას ხელი მოეწერა კონტრაქტს თბილისში კიმონოიანთა გრან პრის ჩატარების შესახებ. ვიზერმა მაშინ თქვა, რომ შეჯიბრების გამართვის ზუსტი თარიღი ხუთი დღის განმავლობაში გამოცხადდებოდა. და აი, ცნობილი გახდა, რომ თბილისი 2014 წლის ძიუდოისტთა გრან პრის 21-23 მარტს უმასპინძლებს.**

საგულისხმოა, რომ გრან პრის ტურნირები სეზონის განმავლობაში 5-ჯერ ეწყობა. ასპარეზობის გამარჯვებული 300 სარეიტინგო ქულას დაიმსახურებს, რაც სამჯერ აღემატება ბოლო წლებში ჩვენთან გამართული საერთაშორისო შეჯიბრებების საჩემპიონო მონაგარს. ვერცხლის და ბრინჯაოს პრიზიორები კი, შესაბამისად, 180 და 120 ქულას დაიმსახურებენ. გრან პრიზე პრესტიჟული მხოლოდ გრანდსლემი და მსოფლიოს მასტერსია.




**გივი გაგუა**

**სამბო**

# გივი სარდანაძის სახელობისა



**მას შემდეგ, რაც იმერეთის სამბოს სამხარეო ფედერაციას მამუკა მღვდელაძე ჩაუდგა სათავეში, ორთაბრძოლების ეს სახეობა უფრო პოპულარული გახდა რეგიონში და გაიზარდა მისი გეოგრაფია.** დასტურად ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის – გივი სარდანაძის სახელობის მესამე ტურნირიც გამოდგება, რომელშიც რეგიონის 9 ქალაქისა და რაიონის 16-წლამდელმა სპორტსმენებმა მოიყარეს თავი. ორგანიზატორთა თქმით, მომავალში შეჯიბრებაზე მეზობელი ქვეყნების სამბისტებსაც მოიწვევენ საასპარეზოდ. ახლა კი წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულთა ვინაობას გაუწყებთ:

**42 კგ.** თამაზ კვერნაძე (თერჯოლა), **45 კგ.** ავთანდილ კუტალაძე (სამტრედია), **48 კგ.** გიორგი ნარსია, **52 კგ.** ოთარ ოჩიგავა, **56 კგ.** ალექსანდრე ოჩიგავა (სამივე-ფოთი), **60 კგ.** გიორგი ნაროუშვილი (ვანი), **65 კგ.** გიგა გოგოლიძე, **70 კგ.** ონისე ხურციძე (ორივე-ქუთაისი), **75 კგ.** დავით ხუბულავა (ვანი), **81. კგ.** ოთარ დარსაველიძე, **87 კგ.** პაატა ტოგონიძე, **+87 კგ.** დავით არწივიძე (სამივე-ქუთაისი).

**ვაჟა ნოსირელი**

**აშკარა, დაუჯერებელი**

# მაიკ ტაისონის „უდავო სიმართლე“: ხელოვნური პენისით – მწვერვალებისკენ

**ლეგენდარული ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი იმ ინსპექტორების მოსატყუებლად, რომლებიც მას ბრძოლების შემდეგ დოპინგსინჯებს ულებდნენ, ხელოვნურ პენისს იყენებდა. აღნიშნულის შესახებ თავად ტაისონმა დაწერა მემუარებში „უდავო სიმართლე“ (Undisputed Truth), რომელიც გაყიდვაში 12 ნოემბერს გამოვიდა. როგორც „რკინის მაიკი“ იუწყება, იგი დოპინგ-ტესტებისას მუდმივად იტყუებოდა, რადგანაც კოკაინის და მარიხუანის აქტიური მომხმარებელი გახლდათ.**

ტაისონს ხელოვნური პენისის გამოყენების იდეა 2000 წელს ლუ სავარეზესთან შერკინების წინ მოუვიდა. აღნიშნულის შემდეგ მოკრივე დოპინგ-ინსპექტორებს ერთი და იმავე ხერხის საშუალებით ატყუებდა.

როგორც მაიკი წერს, ბრძოლის წინ იგი კოკაინს ყნოსავდა და მარიხუანას ეწეოდა, დოპინგ-ტესტებისას კი სხვისი შარდით სავსე ხელოვნურ პენისს იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ 2000 წელს ანჯეი გოლოტასთან ბრძოლის შემდეგ ტაისონს მარიხუანის კვალი მაინც აღმოუჩინეს (მაშინ ამერიკელი 200 ათასი დოლარით დააჯარიმეს), რასაც მოკრივე იოლად ხსნის – უბრალოდ, ჩემი გუნდის წევრმა ხელოვნური პენისის გადმოცემა ვერ მოასწროო.

1987 წელს, 20 წლის ასაკში ტაისონი კრივის ისტორიაში მძიმე წონაში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა აბსოლუტური ჩემპიონი გახდა. „რკინის მაიკის“ კარიერა 1992 წელს შეფერხდა, როდესაც გაუპატიურებისთვის ციხეში წასვლა მოუხდა.

იგი რინგზე 1995 წელს დაბრუნდა და 10 წელი საქმეში იყო, თუმცა, ნაკლები წარმატებით. ჯამში, კარიერის განმავლობაში, ტაისონმა 58 ბრძოლა ჩაატარა, საიდანაც 50 მოიგო (44 ნოკაუტით), 6-ში კი მარცხი განიცადა.

და ერთიც. როგორც ტაისონი ამბობს, ფორმის პიკში მყოფს, ძმები კლიჩკოებიდან მას წინ ვერცერთი ვერ დაუდგებოდა: „საუკეთესო ფორმაში მყოფს კლიჩკოები წინააღმდეგობას ვერ გამიწევდნენ. ორივე ძმას პირველივე რაუნდში დავაგდებდი“.

**მანუჩარ გიორგაძე**




**ჩოგბურთი**

# ქართული სამაია უცხოურ კორტებზე



**გუშინ მსოფლიო საჩოგბურთო ასოციაციამ განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ერთეულებში ქართველთაგან ისევ ანა ტატიშვილი მეწინავეობს – 499 ქულით 128-ე (წინა კვირაშიც 128-ე იყო) ადგილი უკავია.** შემდეგ მოდიან: 225 (223). სოფიო შაფათავა (262), 301 (299). ოქსანა კალაშნიკოვა (160), 467 (465). მარგალიტა ჩახნაშვილი (74), 474 (493). ეკატერინე გორგოძე (73), 690 (722). სოფიო ქვაცაბაია (32), 1204 (1196). თამარ ჭალაგანიძე (3), 1211 (1204). მარიამ ბოლქვაძე (3).

**წყვილებში:** 58 (58). ოქსანა კალაშნიკოვა (1594), 82 (82). ანა ტატიშვილი (1085), 199(197). სოფიო შაფათავა (336), 428 (428). ეკატერინე გორგოძე (114), 485 (485). სოფიო ქვაცაბაია (92), 753 (753). მარგალიტა ჩახნაშვილი (34), 1224 (1215). თამარ ჭალაგანიძე (4), 1251 (1243). მარიამ ბოლქვაძე (3).

რამდენიმე ქართველი ჩოგბურთელი ამ კვირაშიც იასპარეზებს. სოფიო შაფათავამ უკრაინის (ბუჩა) ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) პირველი ბარიერი იოლად დაძლია – ჰოლანდიელ ლისან ვან რიეტს ორ სეტში აჯობა – 6:2, 6:4 და მე-2 წრეში რუს ევგენია პაშკოვასთან გაარკვევს ურთიერთობას. წყვილებში შაფათავა მასპინძელ ანასტასია ვასილიევასთან ერთად მოსინჯავს ძალებს. ეს დუეტი ასპარეზობის რეიტინგფავორიტია (ერთეულებში ვასილიევაა პირველი ნომერი).

ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) მეორე ნომრად განთესილი ეკატერინე გორგოძე და მე-8 ნომერი სოფიო ქვაცაბაია იბრძოლებენ.

**ლექსო ცინცაძე**

**ფეხბურთი**



# მესი „ოქროს ბუცს“ მიიღებს

**კატალონიის „ბარსელონას“ ფორვარდ ლიონელ მესის კუთვნილი „ოქროს ბუცი“ დღეს გადაეცემა. ამის შესახებ Marca იუწყება.**

26 წლის არგენტინელს ჯილდო ევროპული ჩემპიონატების 2012-2013 წლების სეზონის ბომბარდირობისთვის გადაეცემა. ესპანეთის პრიმერადივიზიონის გასულ სეზონში კატალონიელთა ვარსკვლავმა 46 გოლით გამოიჩინა თავი.

აღსანიშნავია, რომ მესი „ოქროს ბუცს“ მესამედ მიიღებს. არგენტინელს ეს პრიზი 2009/10 და 2011/12 წლების სეზონებშიც აქვს მოგებული.

**გიორგი შოთაძე**

**ინტერნეტიდან**

# ზიდანის ნაგვიანევი გატაცება



**თუკი კრისტიან ვიერიმ წიგნების წერა დაიწყო და რობერტო კარლოსმა სიბერეში დაგროვილი თანხის თვლას მიჰყო ხელი, ვითომ ზინედინ ზიდანი ვისზე ნაკლები ბიჭია, რომ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ თავისი სრულიად ახალი და განსხვავებული ჰობი არ გასჩენოდა?!..**

მიუხედავად იმისა, რომ ზინედინი მადრიდის „რეალში“ მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს და მის საქმეს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს, არაბული ფესვების მქონე ფრანგი ლეგენდარული ბურთის მგორებელი თურმე ბოლო დროს კომპიუტერული თამაშებისთვისაც ნახულობს დროს.

„ადრე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ კომპიუტერული თამაშები ჩემს ასაკში შემიყვარდებოდა, მაგრამ ზოგიერთი თანამედროვე თამაში იმდენად საინტერესო და დამაინტრიგებელია, რომ მეც კი მიჭირს მათზე უარის თქმა. სასიხარულოა, ბევრი თავისუფალი დრო რომ არ მაქვს, თორემ ნამდვილი „გეიმერი“ გავხდებოდი“ – ამბობს ზინედინ ზიდანი.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ჩვენი კარაბადინი

# გავიწმინდოთ ტვინი

## გიმნასტიკა მაღალი შრომისუნარიანობისთვის

**40 წლის შემდეგ სულ უფრო ხშირად გვღალატობს მეხსიერება, უნარი — სწრაფად გადავწყვიტოთ რთული ამოცანები. საბედნიეროდ, ტვინის შრომისუნარიანობა შეიძლება აღვადგინოთ სპეციალური ვარჯიშების დახმარებით.**

### მოიფიქრეს კალიფორნიაში

**ტვინი კუნთების მოძრაობას მართავს — ეს მეცნიერული ფაქტია. არანაკლებ მეცნიერული და დადასტურებულია კიდეც ექსპერიმენტებით უკუდამოკიდებულება: კუნთების მოძრაობა ასწავლის ტვინს.** მაგალითად, პატარა ბავშვებმა ტვინის განვითარებისთვის აუცილებლად უნდა იმოძრაონ. სწორედ ამიტომ მათ შეუძლიათ საათობით იხოხონ, ამოძ-



რაონ თითები, ეცადონ წამოდგომას, დაეცნენ და კვლავ შეეცადნონ... ვასწავლოთ, მაგალითად, იარონ ან ღეჭონ, და ეს ავუხსნათ სიტყვებით, შეუძლებელია. სხეული უნდა ეცადოს, ტვინი კი კუნთების კვალდაკვალ შეიცნობს და იმახსოვრებს ჩვევას. ასეთი ვარჯიშები აყალიბებს კავშირურთიერთობებს, ურომლისოდაც ადამიანი სამომავლოდ ვერ შეძლებს წარმატებით შეისწავლოს რამე.

გიმნასტიკა Brain Gym (სიტყვასიტყვით „ტვინის გიმნასტიკა“)დაამუშავეს კალიფორნიაში, რათა დაეხმარონ იმ ბავშვებსა და მოზარდებს, რომლებსაც არ გააჩნიათ რაიმე სწავლის უნარი. დღეს მას ფართოდ იყენებენ მოზრდილებიც, რომლებიც მიიჩნევენ, რომ უკვე უჭირთ ინტელექტუალური მუშაობა. სასიამოვნო ბონუსი: როდესაც რეგულარულად ასრულებთ ვარჯიშებს, იუმჯობესებთ არა მხოლოდ ტვინის, არამედ გულის მუშაობასაც.

რას შეიძლება მივაღწიოთ ამ გიმნასიკის წყალობით?

- **გავიუმჯობესოთ კონცენტრაცია, ყურადღება და მეხსიერება.**
- **დავიბრუნოთ გამომგონებლობა.**
- **ვისწავლოთ, ვილაპარაკოთ უფრო დამაჯერებლად.**
- **განვივითაროთ წონასწორობის გრძნობა და მოძრაობის კოორდინაცია.**
- **უფრო შემოქმედებითად მივუდგეთ სამუშაოს.**

### ვიმეორებთ სამჯერ

**ვარჯიში 1 გვეხმარება ვილაპარაკოთ დამაჯერებლად (მაგალითად, როდესაც სხდომაზე უნდა გამოვიდეთ). აუმჯობესებს წონასწორობას.**

დახუჭეთ თვალები, ღრმად დაამთქნარეთ. ამ დროს თითების ბოლოებით დაიწყეთ ზედა და ქვედა ყბების დაჭიმული ზონების მასაჟი. ეცადეთ, გააჭიანუროთ მთქნარება ღრმად და ხმაურიანად. გაიმეორეთ 3-6-ჯერ.

**ვარჯიში 2 ხელს უწყობს აზრების შემოქმედებით გადმოცემას წერილობითაც და ზეპირადაც. იგი ააქტიურებს ტვინის იმ უბანს, რომელიც პასუხისმგებელია მეტყველებაზე, კრეატიულ უნარსა და ურთიერთობაზე. ასევე აუმჯობესებს კოორდინაციას.**

დააწყვეთ ხელები სკამის ზურგზე საყრდენად. ერთი ფეხი უკან გადადგით. კორპუსით გააკეთეთ ვარდნა წინ, წინა ფეხის ოდნავ მოხრით. მთლიანად გადაიტანეთ მასზე სხეულის წონა, უკანა ფეხის ქუსლი კი მკვეთრად ასწიეთ იატაკიდან. ახლა ნელა „გადაქანდით“ უკან, მთელი წონა გადაიტანეთ უკანა ფეხზე. მისი ქუსლი ეშვება დაბლა, წინა ფეხის ტერფს კი მაღლა ვწევთ. გაიმეორეთ 3-6-ჯერ, შემდეგ შეცვალოთ ფეხები.

**ვარჯიში 3 საშუალებას გვაძლევს, უფრო ეფექტიანად გამოვიყენოთ ლოგიკური აზროვნება, გადავწყვიტოთ მათემატიკური ამოცანები ან მოვაწესრიგოთ კოლექტივის მუშაობა. ამას გარდა, იგი ამაგრებს მუცლის პრესს.**

იატაკზე წოლის დროს მოხარეთ მუხლები და ტერფები დააწყვეთ იატაკზე. ხელები ამოიდეთ თავქვეშ, გადააჭვდეთ ერთმანეთს თითები. თითების გაუხსნელად ასწიეთ და ერთდროულად შემოაბრუნეთ კორპუსი, ერთი იდაყვით მსუბუქად შეეხეთ იატაკს. წარმართეთ სხეული დიაგონალით: მარცხენა იდაყვი მარჯვენა მუხლისკენ, შემდეგ მარჯვენა იდაყვი მარცხენა მუხლისკენ. გაიმეორეთ რიგრიგობით 3-6-ჯერ ორივე მხარეს.

**ვარჯიში 4 გვეხმარება, გამოვიდეთ სცენაზე, მონაწილეობა მივიღოთ შეჯიბრებებში, ჩავაბაროთ გამოცდები. ზრდის მოძრაობის სიზუსტეს.**

მონახეთ ნაოჭები შუბლზე თვალებს ზევით, შუაში წარბებიდან თმების ძირებამდე. თითების წვერებით მსუბუქად დააწექით მათ 30-60 წამის განმავლობაში. გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

**ვარჯიში 5 აუმჯობესებს კოორდინაციას სივრცეში. მაგალითად, თუ გიწევთ სადილის მომზადება სხვის სამზარეულოში ან რამდენიმე დღით ხართ სტუმრად, სადაც თქვენთვის ყველაფერი უცხოა და ნივთებიც უცნობ ადგილებზეა. ასევე აუმჯობესებს წონასწორობას და სხეულის კოორდინაციას.**

აიღეთ ქაღალდის ფურცელი ორივე ხელით და დაიქნიეთ. გააკეთეთ ეს ასევე ფეხზე დგომით, ამოქმედეთ არა მხოლოდ მტევანი, არამედ იდაყვებიც და მხრებიც.

**ვარჯიში 6 საშუალებას გვაძლევს მოვიკრიფოთ გონება, გვიზრდის კონცენტრაციას, ყურადღებას და გვიუმჯობესებს მეხსიერებას.**

მარცხენა ხელი მოკიდეთ მარჯვენა მხარს, მოუჭირეთ და მოადუნეთ კუნთები. შეაბრუნეთ ამავე მხრისკენ თავი, გაიხედეთ მარჯვენა მხარის იქით. ჩაისუნთქეთ ღრმად, გასწიეთ მხრები უკან. ნელა, არც მაღლა ასწიოთ, არც დაბლა დაუშვათ ნიკაპი, შეაბრუნეთ თავი მარცხენა მხარისკენ. თუ შეგიძლიათ, გაიხედეთ მის იქით. დააბრუნეთ თავი შუა ადგილისკენ, დაუშვით ნიკაპი მკერდზე, ღრმად ამოისუნთქეთ და მოადუნეთ მთელი სხეული. ახლა ეს ყველაფერი გააკეთეთ უკუ მიმართულებით (მარჯვენა ხელით მარცხენა მხარზე...) 3-3-ჯერ ორივე მხარეს.



## ტუბერკულოზი ციფრებსა და ფაქტებში

**ტუბერკულოზის აღმგზნებია მიკრობაქტერია (კოხის ჩხირი), რომელიც გადაეცემა ჰაერ-წვეთოვანი გზით: ხველების, ცხვირის ცემინების და ა.შ. გზით.**

ავადმყოფი დღე-ღამეში ნახველთან ერთად გამოყოფს 15 მილიონიდან 7 მილიარდამდე ბაცილას, რომელიც 1-6 მეტრის რადიუსში ვრცელდება.

**ცელსიუსით მინუს 269 გრადუსამდე ძლებს კოხის გაყინული ჩხირი. იგი სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს გამშრალ ნერწყვში ტანსაცმელზე 3-4 თვემდე, რძის პროდუქტებში — ერთ წლამდე, წიგნებზე —6 თვემდე.**

ბაქტერიები მალე „სწავლობენ“ ბრძოლას ანტიბიოტიკებთან, ამიტომ არის ტუბერკულოზის ფორმა, რომელიც არ ემორჩილება წამლების უმეტესობის ზემოქმედებას. ეს ფორმა გამოვლინდა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში.



**მსოფლიოში 2 მილიარდზე მეტი კაცი (დედამიწის მოსახლეობის მესამედი) ტუბერკულოზის ბაცილების მატარებელია. ამ ადამიანების დაახლოებით 10 პროცენტს სიცოცხლის განმავლობაში უვითარდება დაავადების აქტიური ფორმა.**

ერთ ავადმყოფს ტუბერკულოზის აქტიური ფორმით ერთ წელიწადში შეუძლია გადასცეს ინფექცია 10-15 კაცს.

**დაახლოებით 4,7 ათასი ადამიანი იღუპება მსოფლიოში ყოველდღიურად ტუბერკულოზისგან.**

ტუბერკულოზის დროს 80-90 პროცენტში სასუნთქი ორგანოები ზიანდება.

ტუბერკულოზით დაავადებულებს უწევთ 4-6 ანტიბიოტიკის მიღება, ავადმყოფობას რომ გაუმკლავდნენ.

**ტუბერკულოზი არ იძლევა იმუნიტეტს მთელი სიცოცხლისთვის, და ადამიანი შეიძლება ამ დაავადებით რამდენჯერმე დაავადდეს.**

1904 წელს გერმანიაში აღმოაჩინეს ადამიანის ჩონჩხი, რომელიც 7 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. მამაკაცის მკერდის რამდენიმე მალა დაავადებული იყო ტუბერკულოზით.

**ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე 24 მარტს აღინიშნება.**

შპს „მაგთიკომი“ იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ ბერიშვილი**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

### დაზუსტება

„საქართველოს რესპუბლიკის“ 19 ნოემბრის ნომერში გამოქვეყნებულ მასალაში „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“... ბატონ თამაზ შილაკაძის ტიტულატურა უნდა იკითხებოდეს ასე: **„შპს „საგზამეცნიერების“ გენერალური დირექტორი“**... შემდეგ — როგორც ტექსტშია.

### ინფორმაცია

#### მომავალ წელს რეზერვის კონცეფცია მომზადდება

**მომავალ წელს საბრძოლო, ოპერატიული რეზერვის კუთხით თითო-თითო ბატალიონი გვეყოლება, — ამის შესახებ თავდაცვის მინისტრობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ პარლამენტში რამდენიმე კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე დასმული კითხვის პასუხად განაცხადა. მისივე თქმით, მომავალ წელს რეზერვის კონცეფციაც მომზადდება.**

**— რეზერვს რაც შეეხება, მივიღეთ გადაწყვეტილება და მომავალ წელს საბრძოლო, ოპერატიული რეზერვის კუთხით თითო-თითო ბატალიონი გვეყოლება დასავლეთ და აღმოსავლეთ ოპერატიულ სარდლობაში. ამავე დროს. ნატოელ პარტნიორებთან ერთად მომზადდება მთლიანად რეზერვის კონცეფცია და განხორციელების გეგმაც, — განაცხადა ალასანიამ.**

**მინისტრობის კანდიდატმა სამხედრო პოლიციის შესახებაც ისაუბრა და განაცხადა, რომ სამხედრო პოლიციაში მუშაობის დაწყება სპეციალური კურსების გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი.**

**— სამხედრო პოლიციას პრაქტიკულად პოლიტიკური პოლიციის ფუნქცია ჰქონდა. ამ ერთი წლის განმავლობაში მოხდა სრული დეპოლიტიზაცია. ამასთან, შეთანხმება შედგა და ინსტიტუციურად გაიმართა, რომ სამხედრო პოლიციელი ისე ვერ იმუშავებს, თუ მან არ გაიარა სპეციალური კურსები, რომელიც შსს აკადემიამ და თავდაცვის აკადემიამ ერთობლივად შეიმუშავა. ანუ, მათი საქმე იქნება არა შს სამინისტროს დუბლირება, არამედ კონკრეტულად შეიარაღებულ ძალებში დანაშაულის პრევენცია, პროფილაქტიკა და გამოძიება, — განაცხადა ალასანიამ.**

#### სომხეთიდან შემოტანილ კარტოფილში მურა სიდამპლე გამოვლინდა

**15-19 ნოემბერს სომხეთიდან შემოტანილ 467 ტონა კარტოფილში მურა სიდამპლე გამოვლინდა. როგორც „ინტერპრესნიუსს„ შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს, სადახლოს საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, სომხეთიდან 467 ტონა კარტოფილით დატვირთული 17 მანქანა შემოვიდა. შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის სანიტარიული, ფიტოსანიტარიული და ვეტერინარული კონტროლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ფიტოსანიტარიული პროცედურების განხორციელებისას, პირველადი შეფასებით, ტვირთში კარტოფილის საკარანტინო მიკროორგანიზმის — მურა სიდამპლის არსებობაზე მიუთითეს.**

**„საკარანტინო ობიექტის იდენტიფიკაციისა და დადასტურების მიზნით, ნიმუშები სპეციალურ ლაბორატორიაში გაიგზავნა. ლაბორატორიულმა კვლევამ კარტოფილის 13 ნიმუშში (467ტონა) საკარანტინო მიკროორგანიზმი — კარტოფილის მურა სიდამპლე დაადასტურა. საქართველოს მთავრობის №429 დადგენილების თანახმად, დაავადებული საქონელი უკან, ექსპორტიორ ქვეყანაში გაბრუნებას ექვემდებარება“, — აცხადებენ შემოსავლების სამსახურში.**

#### გორის საპატრულო პოლიციას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**გორის საპატრულო პოლიციის სამმართველოს გივი მაჭავარიანი უხელმძღვანელებს. გივი მაჭავარიანი გორში დანიშვნამდე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსი იყო.**

**გივი მაჭავარიანმა მალხაზ კასრაძე შეცვალა, რომელმაც თანამდებობა რამდენიმე დღის წინ დატოვა.**

#### გაფრთხილდით! ინტოქსიკაციის „პერიოდი“ იწყება!

**გუშინ თბილისში ბუნებრივი აირით ინტოქსიკაციის ორი შემთხვევა დაფიქსირდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის პრესსამსახურიდან აცნობეს, ჯიქიას ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი სახლიდან ბუნებრივი აირით მოწამლული ორი ახალგაზრდა ქალი — 25 და 27 წლისანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

**მოწამლულები ამჟამად იმყოფებიან ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნული ცენტრის ტოქსიკოლოგიის დეპარტამენტში; მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ექსპრომტი



### ჩემს შვილიშვილს

ბაკიბუკი, —
ბაჩანა,
ჯერ ფეხზე არ
დამდგარა.
გაიძახის,
ბული, ბული,
მის ენაზე:
მომე პური.
მივცემთ პურს და,
გალაღდება,
გაიცინებს
ოქრო ბიჭი.
გაიცინებს,
გამოჩნდება
ორად ორი,
ორი კიჭი.
აი, ბიჭი,
ბიჭია და
რა ბიჭი!
ორი კიჭი...

ავთანდილ სიხარულიძე

## ინფორმაცია

### გამოფენა გრძელდება

თანამედროვე ქართული ხელოვნების გამოფენა — „საქართველოს ხელოვნება ვილნიუსში“ გრძელდება. ვილნიუსში ხვალ გალა-გალერეა, თანამედროვე ქართველ მხატვართა გამოფენას „ზევით ქვევით“ წარმოადგენს.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება ვახო ბუღაძის, მურთაზ შველიძის და კოტე სულაბერიძის ფერწერული ნამუშევრები, კოტე ჯინჭარაძისა და ოლეგ ტიმჩენკოს ინსტალაციები, მამუკა ჯაფარიძის, კოკა რამიშვილის და ნინო სეხნიაშვილის ვიდეო არტები, ლია ბაგრატიონის კერამიკული ნამუშევრები.

ვილნიუსში თანამედროვე ქართულ ხელოვნებას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ლიტვის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსთან ერთად წარმოადგენს.

## დაიჯესტი

### ვაი ქირურგებისგან

**ბოლო ორი წლის მანძილზე ბრიტანელმა ქირურგებმა პაციენტების სხეულებში 161 უცხო სხეული„ჩატოვეს“.**

სამოცდაათ ავადმყოფს კი ოპერაცია სხეულის სხვა ნაწილზე გაუკეთეს და არა იმაზე, რომელიც საოპერაციო იყო. ქვეყანაში ასეთ სახიფათო შემთხვევათა რიცხვმა 326-ს მიაღწია. ეს სტატისტიკური მონაცემები დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა.

### დიდება ხალებს!

**ადამიანები, რომლებსაც სხეულზე ასზე მეტი ხალი აქვთ, სხვებზე გაცილებით ნელა ბერდებიან — ესაა ლონდონის სამეფო კოლეჯის მეცნიერთა დასკვნა.**



მედიკოსები ამას იმით ხსნიან, რომ ასეთ ადამიანებს გრძელი ტელომერების (დეგენარაციის ამრიდებელი დნკ-ს ნაწილები) მქონე სისხლის თეთრი უჯრედები გამოუმუშავდებათ. რაც უფრო გრძელია ტელომერები, ადამიანი მით უფრო ნელა ბერდება.

### ჩვენც კატა ხომ არ აგვერჩია მერად?

**„ვფიცავ ქალაქში ყველა ვირთაგვას გავანადგურებ, მერე ვჭამ და ვიძინებ!“ — ამ ლოზუნგით მექსიკის ქალაქ ვერაკრუსის მერობის კანდიდატად წლეულს ივლისში... შავ-თეთრი ხვადი კატა მორისი წამოაყენეს.**

ლოზუნგი კატას ორმა ადგილობრივმა სტუდენტმა მოუგონა, რომელიც მის საარჩევნო შტაბს ჩაუდგა სათავეში. ქალაქელთა ჟარგონზე „ვირთაგვებს“ კორუმპირებულ მოხელეებს ეძახიან, სლოგანის მეორე ნაწილი კი უსინდისო ჩინოსნების ძირითად „საქმიანობას“ მიანიშნებს.

გონებამახვილმა ჭაბუკებმა მორისს ტვიტერსა და ფეისბუქში საგანგებო გვერდები შეუქმნეს, რომლებზეც ფუმფულა კუდიანმა და ულვაშა „კანდიდატმა“... ყველა კონკურენტზე მეტი — 100 ათასი! — ხმა მოაგროვა.

საგულისხმოა, რომ მექსიკაში რამდენიმე პატარა ქალაქში მუნიცინალურ არჩევნებში სხვა ცხოველებიც მონაწილეობდნენ: სიუდად-ხუარესში — ვირი ვილი, ტეპიკაში — ქათამი თინა-ბოკუ, პუებლაში —თუთიყუში ნესტი, ოახაკეში — ბუ სუფა, თუმცა ყველაზე უკეთ მაინც კატა მორისის წინასაარჩევნო კამპანია იყო ორგანიზებული.

ისე კი, სავსებით შესაძლებელია, რომ მექსიკელმა კატამ ალასკის (აშშ) ქალაქ ტალკიტნას მერის გზა გაიმეოროს, სადაც კატა ჯორჯს ქალაქის თავის სავარძელი აგერ უკვე 15 წელია უკავია! ეს „თბილი სავარძელი“ მან ჯერ კიდევ კნუტობაში, 1997 წელს მოიპოვა, როცა ქალაქის ცხრაასივე მცხოვრებმა ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამ სიმპათიურ კატაზე საუკეთესო მერობის კანდიდატი არ არის. ჯორჯს, ისევე, როგორც ყველა სოლიდურ ჩინოსანს, ფეისბუქში საკუთარი გვერდი აქვს, მისი მეგობარი კი მთელი ქალაქის მოსახლეობაა.

### მოსისინე ძიძა

**ჩინეთის ქალაქ დუნგუანის მკვიდრს ჩან ლიუს ერთობ უჩვეულო „შინაური ცხოველი“ — ოთხმეტრიანი ბირმული პიტონის მდედრი ჰყავს.**

როცა ეს ცივსისხლიანი „ქალბატონი“



ექვსი წლისა იყო, ლიუს ვაჟიშვილი შეეძინა, ცნობისმოყვარე მშობლებმა კი გადაწყვიტეს, ენახათ, თუ როგორი იქნებოდა მათი შვილისა და უზარმაზარი გველის ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ ისინი ერთმანეთს მშვენივრად „უგებენ“: პაწაწინა აჩჟე პიტონის რგოლებში აკვანზე უკეთ იძინებდა, მერე კი მშობლები წამოზრდილ ბავშვს სულაც პიტონს უტოვებდნენ მისახედად!

— არა მგონია ვინმემ ასეთი დარაჯისთვის ბავშვის მოპარვა, ან წყენა დააპიროს, — იცინის ჩან ლიუ.

თავად, აჩჟე კი უკვე დიდი ბიჭია და ზოოლოგობა, გველების შესწავლა სურს, თავის მოსისინე ძიძაზე კი ამბობს: — იგი მუდამ ფრთხილობს ჩემთან და რგოლებს ძლიერად არასდროს არ მიჭერს.

## ჩვენი პრესდაიჯესტი



### „ივანიშვილმა საკადრო შეცდომები დაუშვა“

— თვლის თემურ შაშიაშვილი, — აქ პირადი ერთგულება ხდება მთავარი საზომი და არა პროფესიონალიზმი. ეს ჰქონდა სააკაშვილს, ოღონდ მასზე უფრო დიდი ზომით აქვს ივანიშვილს. იგი პრაქტიკულად არავის არ ენდობა, ვინც მის ბანკში არ გაიარა ან მის ოჯახთან არ იყოს დაკავშირეუბლი. შეიძლება ქვეყნის არნახულად ერთგული იყო, მაგრამ თუ ივანიშვილის ერთგული არ ხარ, ქვეყნის ერთგულება არაფერს ნიშნავს. ეს კატასტროფაა... უამრავი ტვინით გამოტენილი ადამიანია უმუშევარი. ეს ხალხი დღეს უკვე ამბობს რომ შეცდომა დავუშვით 1 ოქტომბერსო...

„ახალი თაობა“

### რა მეტსახელი შეარქვეს სააკაშვილს დასავლეთში?

— ამ მეტსახელებს გვაცნობს პეტრე მამრაძე: „ბრიუსელსა და ვაშინგტონში სააკაშვილს ეძახდნენ „ბუასილს“ და „მსოფლიოს თავის ტკივილს“. ეს იყო სააკაშვილის ყველაზე კორექტული მეტსახელი. ლინკოლნ მიტჩელმა სააკაშვილს „ბუშის სარეკლამო ბიჭუნა“ უწოდა. მას მთელი რიგი ფაქტორების გამო ღიად არ აკრიტიკებდნენ, თუმცა, მას შემდეგ, რაც 2009 წელს ბარაკ ობამამ რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკა გამოაცხადა, სააკაშვილის მოცილებაზე კულუარებში დასავლეთში ბევრს საუბრობდნენ. დასავლეთმა მიაღწია, რომ სააკაშვილს მშვიდობიანად დაეთმო ხელისუფლება!

„ალია“

### ზამთრის შიშით მოსახლეობა საქონელს თავიდან იშორებს

საძოვრებისა და სათიბების გასხვისების პირველი შედეგი უკვე გამოჩნდა. ქვეყანაში პირუტყვის საკვების დეფიციტია. ერთი შეკვრა თივის ფასმა ზოგ რაიონში ერთბაშად 3 ლარითაც კი მოიმატა. საკვების გაძვირება დაეტყო რძის პროდუქტებსაც — ყველის ფასმა წინა წლების რეკორდი მოხსნა. „საძოვრები აღარ არის და იძულებული გავხდით, 4 ძროხა გაგვეყიდა“, — ამბობს ხაშურელი დიასახლისი. ექსპერტები ასკვნიან, რომ დღეს უკვე მეცხოველეობის სულადობის არათუ გაზრდა, არამედ არსებულის შენარჩუნებაც კი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ამიტომ ხელისუფლებას ამ პრობლემის მიმართ, სერიოზული დაფიქრება მართებს.

„რეზონანსი“

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

## კადრი



## ცინცხალი ანეკდოტები

— თმის ამომყვანი რაიმე საშუალება გაქვთ? — ეკითხება ტიპი აფთიაქარს.

— გვაქვს!

— კარგია?

— ძალიან კარგი! აი, სალაროსთან ულვაშებიან ადამიანს ხედავთ? ის ჩემი ცოლია. მას უბრალოდ ამ წამლის ფლაკონის საცობის კბილებით ამოძრობა უნდოდა.

* * *

ბიჭს გოგო მუხლებზე უზის.

— საყვარელო, რაიმე საალერსო დამიძახე! — ეხვეწება გოგო.

— ოჰ, ჩემო ქათამო!

— რატომ ქათამი?

— იმიტომ, რომ ჩემს კვერცხებს აზიხარ!

* * *



— გქონია შემთხვევა, რომ შენი ქმარი საღამოს სახლიდან წასულიყოს და შინ არ დაბრუნებულიყოს? — ეკითხება ერთი ქალი მეორეს.

— მხოლოდ ერთხელ, ქორწინებიდან ერთი თვის შემდეგ მოხდა ეს. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ იგი მაინც დაბრუნდება.

* * *

მწერალ ქალთან საუბრისას მამაკაცი თავისი პოზიციის დაცვას ცდილობს:

— მაგრამ ღმერთმა ჯერ მამაკაცი შექმნა და მხოლოდ ამის შემდეგ — ქალი.

— მერე რა. მეც ჩემს მოთხრობებს ჯერ შავად ვწერ ხოლმე.

* * *

— თუ შეიძლება მითხარით, გაქვთ საინტერესო წიგნები სიყვარულზე? — ეკითხება ტიპი ბიბლიოთეკარს.

— აი, ინებეთ, — „სასიყვარულო პოზები“.

— უფრო წესიერი რამე არა გაქვთ?

— გვაქვს. აი „ინტელიგენტური სასიყვარულო პოზები“.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24